

## ანგარიში ადამიანის უფლებების და სოციალური საკითხების შესახებ

„მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა” (PMDI)  
პროგრამის წარმომადგრადი



### ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობის:

1. ალექსანდრე ნოსელიძე – „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი”
2. მარიამ ბეგიაშვილი – „სოციალური კვლევების ინსტიტუტი”
3. თამარ ღვალაძე – „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”
4. ქეთევან დგებუაძე – „სოციალური რეფორმების საერთაშორისო საინიციატივო ცენტრი”
5. ნინო შიოშვილი – „საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშემწყობი ასოციაცია – „ამაგდარი”
6. ირაკლი დეკანოიძე – „ახალგაზრდა სამთოგეოლოგთა და მენავთობეთა ასოციაცია”
7. ალექსი შოშიკელაშვილი – „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ქსელი”

## სარჩევი

სარჩევი .....	1
ზოგადი მიმოხილვა .....	2
1. შესაბალი .....	4
2. პროექტის მეთოდოლოგია .....	9
3. შედებები, ანალიზი, მიმღებები, რეკომენდაციები .....	14
3.1 დასაქმება და შრომის უფლებების დაცვა .....	14
3.2 მიწის საკითხები .....	21
3.3 ინფრასტრუქტურა .....	35
4. დასკვნები და რეკომენდაციები .....	50
5. მადლობა .....	54
6. ბიბლიოგრაფია .....	55
7. დანართები .....	56
დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის წევრები .....	56
დანართი 2 - კითხვარი .....	57

## შენიშვნა

ავტორები აღიარებენ, რომ ეს ანგარიში და მასში გადმოცემული აზრები ეპუთვნით მათ და არ გამოხატავს სპონსორი ორგანიზაციის, “ეკრაზის ფონდის” და მისი თანამშრომლების პოლიტიკასა თუ შეხედულებებს.

## მოპლე მიმოხილვა

სამხრეთ კავკასიის და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენები საქართველოს ტერიტორიის 248 კმ.-ზე გადის და 7 განსხვავებულ რეგიონს კვეთს (როგორც გეოგრაფიული ასევე ეთნიკური თვალსაზრისით). დღეისათვის ეს სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული ყელაზე დიდი პროექტია. აღნიშნულ პროექტს ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც პირველ ტრანსკავკასიურ პროექტს. პროექტის ფარგლებში განხორციელებულ მშენებლობას ზეგავლენა აქვს საქართველოს სტრატეგიულ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენის კომპანია აცხადებს, დღეისათვის დაახლოებით 3500-მა კერძო მესაკუთრებ და 150-მა მეიჯარებ მიიღო მიწის კომპენსაცია და 5000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა ადგილობრივ დონეზე, მაგრამ სამუშაო ჯგუფმა ვერ შესძლო ამ მონაცემების დამადასტურებელი სტატისტიკის მოპოვება.

ამ პროექტისადმი საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, ეგრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ შეიქმნა “მილსადენის მონიტორინგის და დიალოგის ინიციატივის” პროგრამა (PMDI), UNDP-ის, IFS -ის და BTC-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. პროგრამა ითავლისწინებს მილსადენების მშენებლობის მონიტორინგს, BTC კომპანიის მხრიდან აღებული გარემოსდაცვითი და სოციალური გალდებულებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში შესრულების თვალსაზრისით.

სოციალურ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად აუდიტის ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის. მიღებული მონაცემები სტატისტიკურად გადამუშავდა. 8 სოფელში (4 რაიონი) გამოკითხულთა მთლიანი რიცხვი შეადგენდა 282-ს. სამუშაო ჩატარდა 2005 წლის 22 თებერვლიდან 2005 წლის 31 ივნისამდე.

სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა შემდეგი საკითხების კვლევა:

- მიწის კომპენსაცია /ინვენტარიზაცია/მოსახლეობის ინფორმირებულობა;
- დასაქმება/დასაქმებულთა უფლებები/სამუშაო პიროებები/ დასაქმებულთა შესაძლო დისკრიმინაცია;
- ინფრასტრუქტურა/გზებისა და ხიდების მდგომარეობა/მოსახლეობის ინფორმირებულობა/გასაჩივრების მექანიზმი.

აღნიშნული ჯგუფი შედგება 7 წევრისაგან:

1. ალექსანდრე ნოსელიძე – „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი”;
2. მარიამ ბეგიაშვილი – „სოციალური კვლევების ინსტიტუტი”;
3. თამარ ლვალაძე – „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”;
4. ქათევან ლეგიტუაძე – „სოციალური რეფორმების საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრი”;
5. ნინო შიოშვილი – „საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშემწყობი ასოციაცია – „ამაგდარი”;
6. ირაკლი დეკანოიძე – „ახალგაზრდა სამთოგეოლოგთა და მენავთობეთა ასოციაცია”;
7. ალექსი შოშიკელაშვილი – „კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელი”

გარდა სოციოლოგიური კვლევისა, ჯგუფმა განიხილა BTC კომპანიის მართვის გეგმები, ვალდებულებათა რეესტრი და სოციალურ საკითხებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია. ანგარიში მოიცავს დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

## 1. შესავალი

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი სამი ქვეყნის ტერიტორიაზე გადის (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი). ამ მიღსადენების მშენებლობა ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული და ეკონომიკური განვითარებისათვის. ამასთანავე აღნიშნული პროექტი პირველი ფართომასშტაბიანი პროექტია ორი განვითარებადი ქვეყნისათვის - აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის - და მათი ტერიტორიის ბევრ რეგიონს მოიცავს და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აღნიშნული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოში მიღსადენის სიგრძეა – 248 კმ. და იგი 7 განსხვავებული (გეოპოლიტიკური და ეთნიკური) რეგიონის ტერიტორიაზე გადის. აღნიშნული პროექტის მშენებლობისას სამშენებლო დერეფნის ორივე მხარეს 2 კმ-ანი ზონის ან მიწის ზედა ნაგებობების 5 კილომეტრიანი რადიუსის ზეგავლენის ქვეშ დაახლოებით 72 დასახლებული პუნქტია მოქცეული. მშენებლობა დაიწყო 2003 წელს, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის მშენებლობა უკვე დასრულდა, ხოლო სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობის დასრულება 2006 წლისათვის არის დაგეგმილი.

პროექტის ფარგლებში მრავალი სოციალური და ეკონომიკური საკითხები წარმოიშვა. მათი გადაჭრა ბაქო-თბილისი-ჯეიპანის (BTC) კომპანიისა და მისი ქვეყნებრივების პასუხისმგებლობაში შედის მათ მიერ საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ერთობლივი საწარმო Spie-Capag – Petrofac International LTD (SPJV) დაქირავებული იყო მშენებლობის განსახორციელებალად. მან თავის მხრივ იქირავა ქვე-კონტრაქტორი კომპანიები. მათ რიცხვშია გეოტექნიკი.

BTC კომპანიამ, დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ ჩატარებული გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრა გარემო და სოციალური ზეგავლენის ყველა ძირითადი ფაქტორები (როგორც დადებითი ასევე უარყოფითი) და უარყოფითი ზეგავლენის შემთხვევისათვის შეიმუშავა შემარბილებელი ზომები და დადებითი ზეგავლენის შემთხვევაში - მართვისა და ხელშეწყობის მექანიზმები. კომპანია მიიჩნევს, რომ შემდეგი შეიძლება დადებით ზეგავლენად ჩაითვალოს:

- ადგილობრივი მუშახელისათვის სამუშაო ადგილების შექმნა: იგულისხმება 2 კმ-ანი ზონა მიღსადენის გასწვრივ და 5 კმ-ანი ზონა სამშენებლო ობიექტების (საქაჩი სადგურები) ირგვლივ;
- ინფრასტრუქტურისათვის, როგორიცაა გზები და ხიდები, აუცილებელი სარემონტო სამუშაოები;
- შემოსავლები მიწის კომპანიებისაციიდან.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის კომპანიის მონაცემებით, მშენებლობის მოსამზადებელი ფაზის დაწყებიდან დღემდე სულ დაახლოებით 5000 ადამიანი დასაქმდა (სამუშაო ჯგუფმა ამის დამადასტურებელი მონაცემები ვერ მოიპოვა). ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა დასაქმებულ იქნა როგორც არაკვალიფიციური მუშა, თუმცა კვალიფიციური და ნახევრადკვალიფიციური მუშები საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც იყვნენ მოწვეულნი. ზოგადად, უმუშევრობის პრობლემა საქართველოში დღემდე ძალიან მტკიცნეული და აქტუალურია, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, მხომავნელოვანია.

გარდა ამისა, BTC კომპანიამ მოახდინა გასხვისების დერეფანში (44 მეტრი) მოყოლილი მიწის ნაკვეთების დირებულების და ასევე აუდებელი მოსავლის კომპენსაცია (3 წლის ვადით, სანამ არ დასრულდება მშენებლობა). BTC კომპანიის განცხადებით, კომპენსაცია მიიღო დაახლოებით 3500 კერძო მიწის მესაკუთრებულ და 150-ზე მეტმა მოიჯარებ (სამუშაო ჯგუფმა ამის დამადასტურებელი მონაცემები ვერ მოიპოვა). მიწის კომპენსაციის დათვლისას, BTC კომპანიამ გამოიყენა საერთაშორისო (მაგ. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული) სტანდარტები და შეეცადა მინიმუმამდე დაეჭვანა ის უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც მიწის გადაცემის პროცესს ახლავს თან. გარდა ამისა BTC კომპანია, მშენებლობის დამთავრების შემდეგ, გეგმავს გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, გადასცეს მიწის ნაკვეთები შემდგომი სარგებლობისათვის თავდაპირველ მფლობელებს/მოიჯარეებს.

ადგილობრივ მოსახლეობაზე (იგულისხმება 2 კმ-ანი ზონა) დადებითი ზეგავლენის გაძლიერების და უარყოფითი ზეგავლენის “შერბილების” მიზნით, BTC კომპანიის მიერ შემუშავებულ იქნა “სოციალური ინვესტირების პროგრამა” (CIP), რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მოსახლეობას და ხელი შეუწყოს ადნიშნული რეგიონების მდგრად განვითარებას. CIP პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია თითოეული სოფლის დონეზე არსებული ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა, ისეთების, როგორებიცაა ამბულატორიების აღდგენა და აღჭურვა, მედპერსონალის ტრეინინგები, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (მაგ. სოფლის გზები, წყალგაევანილობა და ირიგაცია, გაზგავანილობა, სკოლების აღდგენა და რემონტი, ასევე მიკროსესხებით მცირე მეწარმეების მხარდაჭერა და სოფლის მეურნეობის განვითარება) CIP – ის მართვას ახორციელებენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები Mercy Corps და CARE, დგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სააგენტოების მხარდაჭერით. BTC კომპანიის თანახმად, CIP პროექტის საერთო ბიუჯეტი, სამწილიანი მუშაობის პერიოდისათვის, 5000000 დოლარს შეადგენს.

ადგილობრივ მოსახლეობაზე უარყოფითი ზეგავლენის ერთ-ერთი მაგალითია ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენა, კერძოდ მშენებლობისას მძიმე ტექნიკის მოძრაობის შედეგად. BTC კომპანიის მონაცემებით,

შესაძლებელია მომხდარიყო გზების და ხიდების მდგომარეობის გაუარესება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მძიმე ტექნიკის გახშირებულმა მოძრაობამ მოსახლეობას შესაძლებელია ისეთი ზიანი მიაყენოს როგორიცაა:

- მტვერი და ამის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ჯამრთელობის გაუარესება, გზების პირას მდებარე საბალე/საბოსტნე ნაკვეთების დაზიანება.
- ვიბრაცია და აფეთქებები, გზების პირას მდებარე სახლების და ნაგებობების დაზიანება.
- საირიგაციო და წყალგაყვანილობის მილების დაზიანება.

ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთი სახის ზეგავლენას ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე, როგორიცაა: ბანაკების ადგილებში ელექტრო მომარაგებაზე, წყლის რესურსებზე, ტელეკომუნიკაციებზე დამატებითი დატვირთვა.

BTC კომპანიის მიერ, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შესწავლილ იქნა, თუ რა პოტენციური ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს პროექტს: როგორც დადებითი, ისე უარყოფითი და როგორ განხორციელდეს პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის შემარბილებელი ან მაკომპანიერებელი ზომები, გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, BTC, როგორც საერთაშორისო სტანდარტებით მომუშავე კომპანია, თავის თავზე იღებს გალდებულებებს მინიმუმამდე დაიყვანოს შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა და მაქსიმალურად გაზარდოს დადებითი.

სამხრეთ-კავკასიის და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენების მშენებლობამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში და განსაკუთრებულად არასამთავრობო სექტორში. BTC კომპანია მუშაობს საერთაშორისო სტანდარტებით: მშენებლობის უკელა ეტაპი დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, უნდა ყოფილიყო დია და გამჭვირვალე-საქართველოში არასამთავრობო სექტორი საკმაოდ აქტიური და კარგად ინფორმირებულია ქვეყანაში მიმდინარე უკელა საკითხება და პრობლემაზე. ბუნებრივია, რომ მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლებს გაუჩნდათ ინტერესი ბაქო-თბილისი-ჯეიპანის კომპანიის მიერ აღებული სოციალური ვალდებულებების მიმართ. გარდა ამისა, როგორც ადინიშნა, ეს არის პირველი ამ მაშტაბის პროექტი საქართველოსათვის და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა პროექტის მომდინარეობის პროცესში, ისევე როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან გაცნობა და მათი შესწავლა მნიშვნელოვნად გაზრდის მათ გამოცდილებას, საქართველოში BTC კომპანიისადმი არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესიდან გამომდინარე.

2004 წლის ბოლოს, ევრაზიის ფონდის ინიციატივით, BTC-ის, UNDP – ისა და IFC –ის მხარდაჭერით, შემუშავდა PMDI პროექტი, რომელიც

ითვალისწინებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას BTC კომპანიის მიერ აღებული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული, სოციალური და გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების საჯარო მონიტორინგის პროცესში და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამოცდილების მიღებისა და სამომავლო შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. ეკრაზის ფონდის მხარდაჭერით, მოცემული პროექტის ფარგლებში, შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, მათ შორის სოციალური და ადამიანის უფლებების სფეროებში, რომლის მიზანია შეისწავლოს და შეაფასოს, თუ რა ზეგავლენას იქნიებს ბაქო-თბილისი-ჯეიპანის პროექტი მთელ რიგ მნიშვნელოვან ასპექტებზე.

მოსახლეობის პრობლემებთან, ისევე როგორც სამუშაო ჯგუფების მიერ აღმოჩენილ შესაძლო შეუსაბამისობებთან დაკავშირებული, პროექტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია იმედია ხელს შეუწყობს იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც BTC კომპანიას ჰქონდა მოსახლეობასთან და მოსახლეობის უსაფუძვლო მოლოდინის აღმოფხვრას. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფორმაციის მიღებას მიღსადენის მშენებლობის ირგვლივ შექმნილი “გაუგებრობების” თაობაზე. ამ ტიპის მონიტორინგის ინიციატივა ასევე მნიშვნელოვანია BTC კომპანიისა და არასამთავრობო სექტორს შორის ნდობისა და გამჭირგალობის გაღრმავებისათვის. მონაწილეები გამოიყენებენ მიღებულ გამოცდილებას ამგვარი ტიპის დიდი პროექტების კვალიფიცირებული მონიტორინგისათვის მომავალში.

სოციალური და ადამიანის უფლებების საუშაო ჯგუფის მიერ გამოიყო 3 ყველაზე აქტუალური ასპექტი: ა) დასაქმება, ბ) მიწის/მოსავლის კომპენსაცია და შესყიდვა, გ) ინფრასტრუქტურა, კერძოდ:

- ა) დასაქმება ადამიანის უფლებების და სოციალური სახითხების ჩარჩოში, კერძოდ: თუ როგორ არის დაცული დასაქმებულთა უფლებები (კონტრაქტები, ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაო დრო და სხვა) და შესაბამისობა BTC კომპანიის შრომით ვალდებულებებთან და შრომითი უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან. თუ რა მექანიზმი გამოიყენება ადგილობრივი მომსახურე პერსონალის სამუშაოზე შერჩევისას;
- ბ) მიწისა და მოსავლის კომპენსაციის საკითხი ადამიანის უფლებებისა და სოციალური საკითხების ჩარჩოში, კერძოდ: რა კრიტერიუმები ან ინფორმაცია იყო გამოიყენებული მიწის ღირებულების გამოთვლისას და ვინ შეიმუშავა ეს კრიტერიუმები. რომელმა ადგილობრივმა აუდიტორულმა კომპანიებმა (თუ ასეთები არსებობენ) გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები;
- გ) ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები და ა.შ.): გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მოცემული თემატიკა საკმაოდ ფართო და ზოგადია, სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა შემოფარგლულიყო მხოლოდ გზებისა და ხიდების მდგომარეობის განხილვით. BTC კომპანიის ვალდებულებები ითვალისწინებენ გზების აღდგენასა და შეკეთებას იმ მდგომარეობამდე მაინც, როგორშიც ისინი

იმყოფებოდნენ კომპანიის მიერ მშენებლობის დაწყებამდე. სამუშაო ჯგუფი დაინტერესტებულია გამოკითხოს ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლები (გამგებელი) და ადგილობრივი მოსახლეობა თუ როგორ და რა შემთხვევებში სრულდება მოცემული ვალდებულებები.

### **სოციალური და ადამიანის უფლებების ჯგუფის ძირითადი ამოცანებია:**

1. ა-გ პუნქტებში გათვალისწინებული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით BTC-სა და მისი კონტრაქტორი კომპანიების პროცედურების განხილვა არსებული ვალდებულებებისა და სხვა მოთხოვნების საფუძველზე.
2. BTC-ს საქმიანობის აუდიტი ა-გ პუნქტებთან დაკავშირებულ საჩივრებზე რეაგირების თვალსაზრისით.
3. ა-გ პუნქტებში მოცემულ საკითხებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისათვის, კითხვარის საშუალებით სოციოლოგიური კვლევის ჩატარება იმ დასახლებულ პუნქტებში, რომელებსაც კვეთს მიღსადენი.
4. სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხების/საჩივრების/პრეტენზიების ნიმუშის გამოძიება.

## 2. პროექტის მეთოდოლოგია

სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე ოპტიმალური და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარი (იხილეთ დანართი 2 და პუნქტი 2.8) და კითხვარის გამოყენებით, ქვემოთ ჩამოთვლილ, წინასწარ შერჩეულ, რეგიონებში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა.

### 2.1. სოციალური კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზნის მისაღწევად გამოყენებული იყო აღწერილობითი ხასიათის რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა განხორციელდა პირისპირ ინტერვიუების საშუალებით. როგორც დამატებითი (დამხმარე) საშუალება ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იყო “აგორებული გუნდის” (snowball) მეთოდოლოგია, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით:

1. შერჩევა იყო შემთხვევითი (ყოველი მე-5 შინამეურნეობა).
2. შემთხვევითი შერჩევის დროს შესაძლებელია შერჩევაში არ მოხვდნენ დასაქმებულებები და მიწის მესაკუთრეები, ხოლო ინტერვიუერის მიერ სოფელში შესასრულებელი ქვობა ამოიწურა, მაშინ თითოეულ ბოლო გამოკითხულ რესპონდენტს მოეთხოვებოდა რომ დაესახელებინა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მყოფი მიწის მესაკუთრე, მიწით მოსარგებლე ან პროექტში დასაქმებული მაცხოვრებელი.

ასეთ შემთხვევებში გამოიყენებოდა “აგორებული გუნდის” მეთოდოლოგია, ანუ თუ შერჩევაში არ მოხვდნენ დასაქმებულებები და მიწის მესაკუთრეები, ხოლო ინტერვიუერის მიერ სოფელში შესასრულებელი ქვობა ამოიწურა, მაშინ თითოეულ ბოლო გამოკითხულ რესპონდენტს მოეთხოვებოდა რომ დაესახელებინა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მყოფი მიწის მესაკუთრე, მიწით მოსარგებლე ან პროექტში დასაქმებული მაცხოვრებელი.

### 2.2. შერჩევა

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 282 ინტერვიუ შერჩეული შინამეურნეობების ზრდასრულ წევრებთან. განაწილება სქესს შორის არ იყო თანაბარი (50% - 50%) გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე (BTC-ზე ყველაზე ინფორმირებული წევრი ოჯახში). სავარაუდო შერჩევაში ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობანი, რაც განპირობებულია შერჩეული რეგიონების სპეციფიკით.

კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 რეგიონის 8 სოფელში. ეს რეგიონებია: ახალციხე, თეთრიწყარო. გარდაბანი, ბორჯომი.

## ცხრილი 1.

Region	Number of Interviews	Town/Village
გარდაბანი	130	ლელაშხა
		ახალი-სამგორი
		ჯანდარა
		ლემშვენიერა
თეთრიწყარო	38	ჭივჭავი
ბორჯომი	36	ციხისჯვარი
ახალციხე	78	კალე
		აწყური
სულ	282	8 სოფელი

პერიოდის გამოყენებული იყო შემთხვევითი შერჩევის პროცედურა. შემთხვევითი შერჩევის პროცედურა სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ არის დამკვიდრებული. იგი ძირითადად იმ რეგიონებში გამოიყენება, სადაც პერიოდის მიზნებისათვის არ არის ხელმისაწვდომი მოსახლეობის სრულყოფილი აღწერა.

პერიოდის გამოყენებული იყო შემთხვევითი შერჩევის შემდეგი სამი საფეხური:

### I. საწყისი წერტილის იდენტიფიკაცია

ყველა ინტერვიუ ჩატარდა სოფლის მეურნეობების ტერიტორიაზე. თითოეული სოფელი რომელიც შერჩეულია გამოკითხვის ჩასატარებლად წარმოადგენს შერჩევის ერთეულს. ყველა სოფელში შერჩეულ იქნა ცენტრალური ადგილი (სოფლის ცენტრი).

### II. შინამეურნეობების შერჩევა

პირველი შინამეურნეობა სადაც უნდა ჩატარდეს ინტერვიუ უნდა იყოს ყველაზე ახლოს საწყის წერტილთან. ინტერვიუერებს, ინსტრუქციის მიხედვით, უნდა აერჩიათ სოფლის ცენტრიდან გამავალი თითო ქუჩა და დანაწილებულიყვნენ შესაბამისად. შერჩეულ ქუჩაზე ინტერვიუს ჩატარება წარმოებს პირველივე სახლში, ქუჩის მარჯვენა მხარეს. თუ ქუჩის მარჯვენა მხარე არ არის საკმარისი, ქუჩის ბოლოს გასვლისას შესაძლებელია მარცხენა მხარის გამოყენებაც. შემდეგი შინამეურნეობის შერჩევა უნდა განხორციელდეს ნაბიჯების არსებული სისტემის გამოყენებით – სოფლებისათვის ეს არის ყოველი მე-5 შინამეურნეობა.

ინტერვიუერები იყენებდნენ გამოკითხვისას ნაბიჯების (ყოველი მე-5 სახლი) ზუსტად ამ სისტემას. იმ შემთხვევაში თუ სოფელი არის ძალიან

მცირე მოცულობის, მაშინ ნაბიჯების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს 3-მდე (ყოველი მე-3 სახლი), ამ შემთხვევაშიც შერჩევის შემთხვევითობა არ დაირღვევა, ვინაიდან სოფლის მოსახლეობის აზრი, მაქსიმალურად იქნება წარმოდგენილი.

იმ შემთხვევაში თუ შერჩეულ შინამეურნეობებში არ არის მუდმივი მაცხოვრებელი ინტერვიუ ჩატარებება მეზობელ შინამეურნეობაში.

### III. რესპონდენტების შერჩევა

ინტერვიუსათვის რესპონდენტების შერჩევა უნდა განხორციელდეს ქვოტების შესაბამისად (იხ. თავი “შერჩევა”).

ზოგჯერ ერთიდაიგივე კითხვარით შეიძლება გამოკითხული იყოს შინამეურნეობის ერთ წევრზე მეტი. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ოჯახის ერთი წევრი არის მიწის მესაკუთრე ან მიწით მოსარგებლე, ხოლო მეორე კი დასქმებული იყო მილსადენზე.

ზოგადად რესპონდენტი უნდა იყოს:

- 18 წლის ან უფროსი
- საქართველოს მოქალაქე და მილსადენის გასწვრივ მდებარე შინამეურნეობის მუდმივი მაცხოვრებელი.
- გამოკითხვისას შემთხვევით შერჩეულ ოჯახებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ რესპონდენტების გამოკითხვას, რომლებსაც მილსადენის მშენებლობაზე დასაქმების გამოცდილება გააჩნიათ და მიწის მესაკუთრეები, რომელთა მიწაზე გაიარა მილსადენმა და მათ მიიღეს კომპენსაცია.

### 2.3. პილოტაჟი

გამოკითხვის დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის წევრებმა განახორციელდეს პილოტაჟური გასვლა სოფელ ხაისში. პილოტაჟის შედეგად დაიხვდება როგორც თვითონ კითხვარი, ასევე ინტერვიუს ჩატარების ტექნიკაც.

### 2.4. ინტერვიუერების ტრეინინგი

ჯგუფის წევრების ტრეინინგი განხორციელდა პილოტაჟური გასვლის შემდეგ, კვლევის მიზნების და კონკრეტული საკითხების, შერჩევის, პროცედურების, ქვოტების შემდგომი განსაზღვრისათვის.

ევრაზიის ფონდის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი ჩაატარა რუსუდან ველიძემ, რომელიც არის კომპანია „BCG“-ს რაოდენობრივი კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი მრავალი წლის გამოცდილებით ამ სფეროში.

## 2.5. იმპლემენტაცია

კვლევაში მონაწილეობას იღებდა სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი. ჯგუფის წევრები მიემგზავრებოდნენ სოფლებში და მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ატარებდნენ ინტერვიუებს. თუ შერჩეულ სოფელში თბილისიდან მანქანით მისასვლელად საჭირო იყო 2-საათზე მეტი, ინტერვიუერები ათენებდნენ დამეს მოცემულ რეგიონში. ასეთი ორი შემთხვევა იყო: ახალციხე (ვალე, აწყური) და ბაკურიანი (ციხისჯვარი).

## 2.6. მონაცემთა დამუშავება

ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები შეყვანილ იქნა სასხის მონაცემთა ბაზაში (სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის)- კითხვარის მიხედვით მომზადებულ სპეციალურ მონაცემთა ბაზაში. მონაცემთა შეყვანის შემდეგ, მონაცემთა ბაზა „გაიწმინდა“ შეყვანის დროს დაშვებული უნდღლიერ შეცდომებისაგან, ხოლო მას შემდგ განხორციელდა მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება.

## 2.7. სტატისტიკური ანალიზი

მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა სოციალური მეცნიერებებისათვის სტატისტიკური პაკეტის (SPSS v.13.0) მეშვეობით. კითხვარში მოცემული კითხვების უმრავლესობა იყო გაზომვის სახელდების სკალაზე და მათთვის მოხდა პასუხების სიხშირეებისა და პროცენტული განაწილების გამოთვლა. იმ კითხვებისათვის, რომლებიც იყო გაზომვის რაოდენიბრივ სკალაზე, მაგალითად, როგორიცაა, ასაკი, საათების რაოდენობა და ა. შ., გამოთვლილი იყო პასუხების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა, საშუალო და საშუალო სტანდარტული შეცდომა. გარდა ამისა, განხორციელდა მონაცემთა პროცენტული განაწილების შედარება რეგიონების მიხედვით, გამოთვლილი იყო კონკორდაციის კოეფიციენტი და "chi" კვადრატის სანდოობა P.

## 2.8. ინფორმაცია კითხვარის შესახებ.

კითხვარის მომზადების პროცესში გადაწყდა კითხვარის ოთხ ნაწილად დაყოფა:

1. **შესაგალი ნაწილი** – ადნიშნულ სექციაში წარმოდგენილი კითხვები ეხება ზოგად ინფორმაციას რესპონდენტების შესახებ;
2. **მიწის საკითხები** – ამ სექციაში ყურადღება გამახვილებული იყო რესპონდენტის დამოკიდებულებაზე მის საკუთრებაში მყოფი მიწის შესყიდვასთან მიმართებით, აგრეთვე ცალკე იყო გამოყოფილი

კომპენსაციის საკითხები: როგორც მიწის ფართობზე, ასევე მიუდებელ მოსავალზე, ნარგავებზე და იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც მდებარეობდნენ კონკრეტული მიწის ფართობზე. ამასთან, მოცემული სექცია იძლევა ინფორმაციას მიწის ფართობის ინვენტარიზაციის განხორციელების, მოსახლეობის ინფორმირებულობის, სადაო საკითხების გასაჩივრების მექანიზმების და შესყიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტების შესახებ.

**3. დასაქმების საკითხები** – ამ სექციაში გათვალისწინებული იყო, მოსახლეობის აზრის გამოკითხვა დასაქმების საკითხებთან მიმართებაში მათი ინფორმირებულობის, დასაქმებულების უფლებების და სამუშაო პირობების შესახებ. ამასთანავე სექცია მოიცავდა დასაქმებულების შესაძლო დისკრიმინაციასთან და პგალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**4. ინფრასტრუქტურა** – კითხვარის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებული იყო გზების და ხიდების მდგომარეობის ცვლილებებთან პირვანდელ (მშენებლობის დაწყებამდე) მდგომარეობასთან შედარებით და ამასთან, მოსახლეობის ზოგად ინფორმირებულობაზე ინფრასტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებული BTC-ის ვალდებულებების შესახებ.

## 2.9. გამოკითხვის ზოგადი შედეგები

სამუშაო ჯგუფის მიერ, საველე სამუშაოებისას, განხორციელდა 282 რესპონდენტის გამოკითხვა. გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან 128 (45.4%) რესპონდენტი იყო ქალი, ხოლო 154 მამაკაცი (54.6%).

გამოკითხულთა ეთნიკური წარმომავლობა შემდეგნაირად განაწილდა: 231 (81.9%) ქართველი, 27 (9.6%) აზერბაიჯანელი, 19 (6.7%) ბერძენი, 3 (1.1%) სომეხი, 1 (0.4%) რუსი.

ნახევარზე მეტი გამოკითხული რესპონდენტთა ოჯახის წევრების რაოდენობა შეადგენდა ან აღემატებოდა 5-ს.

### **3. შედებები, ანალიზი, მიზნებები და რეკომენდაციები**

კვლევის შედეგები (იხილეთ დანართი - დამატება 2) და მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი, BTC კომპანიისა და სხვა პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციასთან, მონაცემებთან და ანალიზთან ერთად მოცემულია დასაქმებასთან, მიწის საკითხებთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ანგარიშის ნაწილებში.

#### **3.1. დასაქმება და შრომითი უფლებების დაცვა**

##### **3.1.1. დასაქმების ზოგადი მიმოხილვა**

საქართველოში BTC კომპანიამ ნავთობსადენის გშენებლობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული პროექტის ფარგლებში მკაფიოდ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა განსახორციელებელი საქმიანობის შესაბამისი მიზნები და ამოცანები მისი ეფექტური და შედეგიანი რეალიზებისათვის.

აღნიშნულ მიზნებში გაწერილ საქმიანობათა შორის მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მილსადენის მშენებლობის ზონაში დასაქმების საკითხებს, რისთვისაც შემუშავებულია დასაქმების ისეთი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივი კადრების დასაქმებას, რომლებიც უშუალოდ ცხოვრობენ მილსადენის მიმდებარე სოფლებში (იქ სადაც სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება).

BTC კომპანიამ დასაქმების მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისათვის შეიმუშავა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტები, საქართველოს (მასპინძელი ქვეყნის) შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასთან და ადამიანის უფლებათა საერთშორისო საკანონმდებლო ბაზასთან (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) და საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) 8 საკვანძო კონვენციასთან მიმართებაში და სხვა დოკუმენტებთან) შესაბამისობაში.

ნავთობსადენის მშენებლობის ფაზაში დასაქმების აქტივობათა გეგმის რეალიზებისათვის BTC კომპანიამ, მის მიერ დაქირავებული კონტრაქტორებისა და ქვეყნისტრაქტორების სახელმძღვანელოდ შეიმუშავა დასაქმების შემდეგი პრინციპები:

- გამჭვირვალეობა და საჯაროობა დასაქმების პროცესში;
- მილსადენის დერეფნის გასწვრივ არსებულ დასახლებებში ადგილობრივი კადრების შერჩევა და სწავლება (ტრეინინგების ჩატარება) თითოეული თანამდებობისათვის;
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის უპირატესობის მინიჭება;

- ყოველ რაიონში დასაქმების ცენტრების შექმნა;
- არანაირი დისკრიმინაცია;
- პროექტის ტერიტორიაზე ადამიანების არაკანონიერი გადაადგილების აკრძალვა და სამუშაო მაძიებელთა მიგრაციის მინიმუმამდე შემცირება;
- სამუშაოს თანაბარი გადანაწილება, მიღსადენის მშენებლობის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის; სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის გამჭვირვალე მექანიზმები.

დასაქმების ადგილობრივი საკითხების მართვისათვის შემუშავებული, ”დასაქმებისა და ტრეინინგების მართვის გეგმის” თანახმად, SPJV კომპანია უპირატესობას ანიჭებს მიღსადენთან შეხებაში მყოფი რაიონების იმ კანდიდატებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი მიღსადენის მარშრუტიდან ან პროექტის დროებითი და მუდმივი სამუშაო ობიექტიდან დაშორებულია არა უმეტეს 2 კილომეტრით ან 5 მოქცეულია კილომეტრიან რადიუსში მუდმივი და დროებითი სამშენებლო ნაგებობებიდან. ამასთან, BTC-ის განსაზღვრული ჰქონდა (პროექტის მაქსიმალური დატვირთვის ფაზაში) მიღსადენზე დაახლოებით 1700 სამუშაო ადგილის შექმნა, რომელთა შორის საქართველოს მოქალაქეთათვის სავარაუდოდ განსაზღვრული იყო ამ სამუშაოთა 50-80%-ით შევსება. აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულებისათვის კომპანიას თავისი მართვის მენეჯმენტით, პროცედურულად შემუშავებული აქს ”ადგილობრივი დასაქმების/სამსახურში მიღების” კონკრეტული ვალდებულებები, როგორიცაა:

- ადგილობრივი დასაქმების საორიენტაციო მასშტაბების შეთანხმება;
- დასაქმებასთან დაკავშირებული მოლოდინის მენეჯმენტი;
- სარეკორულო ცენტრების გახსნა და ინფორმაციის მიწოდება ვაკანსიებთან დაკავშირებით;
- სამსახურში მიღებისა და დათხოვნის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის უზრუნველყოფა;
- სამსახურში მიღებისას, ადგილობრივი თემების მიმართ პრევენციული მიღომის გამოყენება; აუცილებელი HS და სხვა ტრეინინგების ჩატარება.

ცხადია, BTC კომპანიის მიერ შემუშავებული მართვის მენეჯმენტი და სტრუქტურა მოსაწონია და დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა ”ნავთობსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა” პროექტის ფარგლებში “სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის” სამუშაო ჯგუფის მიერ, მიღსადენის მიმდებარე სოფლებში (8) მცხოვრები მოსახლეობის (შერჩევითი) სოციოლოგიური გამოკითხვის პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ გამოთქმული პრეტენზიები და უკმაყოფილებანი მიუთითებს BTC-ს კონტრაქტორების მიერ აღებული ვალდებულებების არასრულ შესრულებაზე. ასე მაგალითად:

ზემოთ მოხსენიებული გამოკითხვის შედეგების ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემის თანახმად გამოიკვეთა, რომ:

- ა) გამოკითხულთა – 41.5%-ის აზრით, სამუშაოზე აყვანის პროცესი არ იყო გამჭვირვალე, ხოლო 27.6%-ის აზრით, სამუშაოზე აყვანის პროცესი იყო ნაკლებ გამჭვირვალე;
- ბ) გამოკითხულთა - 6.2%-ის აზრით, სინამდვილეში დასაქმების დროს პრიორიტეტით არ სარგებლობდნენ მილსადენის ახლოს (2ქმ.ზონაში) მცხოვრები პირები;
- გ) გამოკითხულთა—63.5%-ის აზრით, კვირაში შესრულებული დამატებითი სამუშაოს საათობრივი ოდენობა შეადგენდა 20-40საათს, ხოლო 24.5%-ის აზრით - 10-20საათს.
- დ) რიგი დარღვევები და შეუსაბამობანი გამოვლინდა მოსახლეობასთან პირადი ინტერვიუების დროს და BTC-ის კონტრაქტორი კომპანიების (SPJV-ის ახალციხის ბანაკი და SPJV-ის ქვეკონტრაქტორი კომპანია “გეოტეკი”) ოფისებში დასაქმების საკითხების შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად.

არსებულ დარღვევათა შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

### 3.1.2. დაკვირვებები, მიგნებები, ვალდებულებები და რეკომენდაციები

#### 3.1.2 ა) შრომითი ხელშეკრულებებისა და დასაქმებულთა ხელფასების დაანგარიშების დოკუმენტაციათა წარმოების დარღვევები

##### დაკვირვება

SPJV-ის ქვეკონტრაქტორი კომპანია “გეოტეკის” ოფისში, შემთხვევითი შერჩევით, რამოდენიმე დასაქმებულის შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებისას გამოვლენილია დარღვევები, შრომითი ხელშეკრულებების წარმოებაში (ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული დასაქმებულთა თანამდებობა, საათობრივი ანაზღაურების ოდენობა, საცხოვრებელი მისამართები და პირადობის მოწმობის ნომრები);

- ამასთან, შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავდა: დასაქმებულისათვის ნარკოტიკების, ალკოჰოლის მოხმარების აკრძალვის, სამუშაო ტანსაცმლისა და აღჭურვილობის მიღების პირობების მუხლებს.
- კომპანია “გეოტეკში” ასევე გამოვლენილია დარღვევები: დასაქმებულთა ნამუშევარი საათების სატაბელო ფორმებისა და ხელფასების დაანგარიშების დოკუმენტებში, კომპანიას არ გააჩნდა დასაქმებულთა სატაბელო ფორმები და ხელფასების

გადახდის სატარიფო ბადე, სპეციალობებისა და თანამდებობების მიხედვით.

## გალდებულება

BTC-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტით “კონტრაქტორის საკონტროლო გეგმა, დასაქმება და სწავლება საქართველო”, თავი-3.1. (დასაქმების სტრატეგია):

კონტრაქტორი კომპანიები ვალდებული არიან მთლიანად დაიცვან და მისდომნ BTC-ის სტრატეგიას და ნორმებს და შესაბამისად ისინი ვალდებული არიან შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი დაქირავებულთა მიმართ;

სტანდარტული ფორმა უნდა მიეცეს დისციპლინარულ პროცედურას ყველა ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის სტანდარტებთან შესაბამისობა.

SPJV “დასაქმებისა და ტრეინინგის მენეჯმენტის გეგმა” - თავი 7.6 (შერჩეული კანდიდატები) – ადგენს:

ტრეინინგის შემდეგ კანდიდატებს გადაუცემათ წერილობითი კონტრაქტები, სადაც გარკვევით ფიქსირდება შემდეგი ინფორმაცია/მონაცემები: სამუშაო ინსტრუქცია; სამუშაო საათები; სამუშაო პირობები; ხელფასის განაკვეთი (ნორმალური და საზეგანაკვეთო) პრემიები, შეღავათები, სხვა კომპენსაციები და ფულის ოდენობა, რომელიც გამოიქვითება ინდივიდის ხელფასიდან; წესები ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებით; დისციპლინარული პროცედურები.

“საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი”-თავი 3 (შრომითი ხელშეკრულება), მუხლი 16 – ადგენს:

შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და მუშავე მორის, რომლითაც ერთი მხარე - საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია - ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მუშავი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე - მუშავი - ვალდებულებას იღებს შეასრულოს სპეციალობით, კვალიფიკაციით და თანამდებობით გათვალისწინებული გარკვეული სამუშაო, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოს შრომის შიდა განაწებს.

“ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან”, 18.2. პუნქტი, ადგენს:

სახელმწიფოს კველა მოქალაქე, რომელიც პროგრესის  
დაკავშირებით, იქნება დაქირავებული სამსახურში აყვანილ უნდა  
იქნეს წერილობით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების  
საფუძვლზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამუშაო საათების  
რაოდენობა, შრომის ანაზღაურება და ხელფასზე დანამატები,  
რომელიც ერგება მოსამსახურებს, აგრძოვე დასაქმების სხვა პირობები.

## მიზნება

ქვეპონტრაქტორი კომპანია “გეოტეკის” შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხებისა, კერძოდ:  
ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლური სასმელების  
მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული მუხლი, ინფორმაცია  
სამუშაო ტანსაცმლისა და აღჭურვილობის გამოყენების შესახებ.  
გეოტეკი ასევე არ უზრუნველყოფს დასაქმებულთა ხელფასების  
გადახდის სატარიფო ბადეს სპეციალობებისა და თანამდებობების  
მიხედვით.

## რეკომენდაცია

BTC კომპანიამ ხელახლა შეამოწმოს SPJV-ის ქვეპონტრაქტორი კომპანია  
“გეოტეკის” დოკუმენტაცია “დასაქმებისა და ტრეინინგის გეგმის”-  
“რეკრუტირება და დასაქმება” - 14. პუნქტის თანახმად.

### 3.1.2 ბ) ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ზღვრული ნორმების დარღვევა

#### დაპირებება

მიღსადენის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის გამოკითხვისა და  
კომპანია SPJV ახალციხის ბანაკში შესაბამისი დოკუმენტაციის  
შემოწმებისას გამოვლინდა: დასაქმებულ პირთა მიმართ ზეგანაკვეთური  
სამუშაო საათების ზღვრული ნორმების დარღვევა, კერძოდ:

ა) გამოკითხულთა 63.5%-ის აზრით, დასაქმებულებს უხდებოდათ  
კვირაში საშუალოდ 20-42საათის ოდენობის დამატებითი სამუშაო საათის  
შესრულება, ხოლო 24.5%-ის აზრით კი, კვირაში დამატებითი სამუშაო  
საათების შესრულების ოდენობა მერყეობდა 10-20 საათის ფარგლებში;

ბ) შემთხვევით შერჩეული 3 სხვადასხვა კვალიფიკაციის  
დასაქმებულთა გამოკითხვის მიხედვით, ერთი თვის მანძილზე:  
ერთი დასაქმებული მუშაობდა დამატებით სამუშაოს - 165სთ. 50წთ;  
მეორე დასაქმებული მუშაობდა დამატებით სამუშაოს - 151სთ. 00წთ;

მესამე დასაქმებული მუშაობდა დამატებით სამუშაოს - 192სთ. 00წთ.

## ვალდებულება

BTC კომპანია და მისი კონტრაქტორი კომპანიები საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის რეალიზებისათვის აღებული ვალდებულების თანახმად, პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პროცესში, მათი შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველყოფაზე. აღიარებული ვალდებულების შესრულება მათ მოეთხოვებათ როგორც საქართველოში მომქმედი შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ასევე BTC-ის მიერ შემუშავებული სხვადასხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციით:

“ხელშეკრულება (მასპინძელ ქავებასთან) ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან” - 18.2.პუნქტი:

დასაქმების ყველა პროცესი და მიღებული პრაქტიკა, რომელიც ტერიტორიის ფარგლებში პროექტზე მომუშავე სახელმწიფო მოქალაქეებზე კრიტიკულია, მათ შორის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სამუშაო საათების რაოდენობა, შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურება, დამატებით გაცემული სახსრები და შრომის პიგინისა და უსაფრთხოების ტექნიკის სტანდარტები არ უნდა იქნეს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე საქართველოს შრომის კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს მოქალაქეებზე კრიტიკულია.”

“საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი”- მუხლი 56 პუნქტი-1 (ზეგანაკვეთური მუშაობის ზღვრული ოდენობა):

თითოეული მუშის ან მოსამსახურის ზეგანაკვეთური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, მთელი წლის განმავლობაში კი 120 საათს.

“SPJV- ის მიღსადენის მშენებლობის ინფრასტრუქტურისათვის დასაქმებისა და ტრეინინგის მენეჯმენტის გეგმა”-თავი 5.2 და 8.3:

1973 წლის 28 ივნისის საქართველოს შრომითი კოდექსი და მისი ცვლილებები არეგულირებს საქართველოში სამუშაო ურთიერთობებს ყველა მუშასა და თანამშრომელს შორის ყველა საწარმოში, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციაში, მიუხედავად მათი კუთვნილებისა და ორგანიზაციული სტრუქტურისა. იგი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობებისა და სათანადო კომპენსაციის საფუძველზე.

პროექტი ხორციელდება მკაცრი გრაფიკით, საგარაუდოა აგრეთვე, რომ კლიმატურმა პირობებმა გავლენა იქონიოს სამუშაო საათებზე,

განსაკუთრებით წვიმიან და თოვლიან ამინდში, იმისათვის რომ მშენებლობის გრაფიკი არ შეფერხდეს, სამუშაო გრაფიკში შესაძლოა შევიდეს სათანადო ცვლილებები. სამუშაო საათების მოყვანილია შესაბამისობაში საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან.”

SPJV-ის შრომითი კონტრაქტი შემუშავდა მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების 18.2. მუხლის, საქართველოს შრომითი კოდექსის 56-ე მუხლის (ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ზღვრული ოდენობა - თავი 11) და დასაქმებისა და სწავლების მართვის გეგმის მე-7 მუხლის მიხედვით, რომელიც ადგენს:

- ა) სტანდარტული სამუშაო კვირა უნდა შედგებოდეს 6 სამუშაო და ერთი დასვენების დღისგან;
- ბ) სტანდარტული სამუშაო საათების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს დღეში;
- გ) კომპანიას, რომელსაც სამუშაო ობიექტზე მუშაობის განხორციელების საჭიროება აქვს, შეუძლია გაზარდოს სამუშაო საათების ოდენობა, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ზეგანაკვეთური სამუშაოს მაქსიმალურ ოდენობას.

## მიზნება

SPJV კომპანიამ დაარღვია მასპინძელი ქვეყნის დასაქმებულთა შრომითი უფლებები, რადგანაც საქართველოს მოქალაქეთა მიერ ერთი თვის მანძილზე შესრულებულმა ზეგანაკვეთურმა სამუშაო საათებმა ბევრად გადააჭარბა 120 საათს, მაშინ როდესაც, ”საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის” 56-ე მუხლით, მთელი წლის განმავლობაში დაუშვებელია 120სთ-ზე მეტი ზეგანაკვეთური სამუშაო საათების შესრულება. საქართველოს შრომითი კანონმდებლობის ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ოდენობასთან დაკავშირებული ნორმების სისტემატური დარღვევა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კი რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

## რეკომენდაცია

BTC კომპანიის კონტრაქტორმა SPJV-მ მკაცრად უნდა დაიცვას მის მიერ აღებული ვალდებულებები და დაიცვას მის მიერ ადგილობრივ დაქირავებულებოთ დადებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკანონმდებლო ნორმები. აღნიშნული ნორმების (მუხლი 7) მიხედვით, სამუშაო ობიექტზე SPJV-ის დაქირავებულ მუშაკთა მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო საათების

ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ზეგანაპვეთური სამუშაო საათების მაქსიმალურ ოდენობას.

სამუშაო ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს ორ-ცვლიანი სამუშაო დღის შემოლებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდას და ამასთანავე შეამცირებს ზეგანაპვეთური სამუშაო საათების ასეთი ოდენობის საჭიროებას.

## საინიციატივო რეგომენდაცია

ბალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა სამშენებლო ობიექტებზე მომუშავე BTC-ის მიერ დაქირავებულ პირთა ხელფასებიდან სავალდებულო (ხელფასის საშემოსავლო და სხვა სოციალური გადასახადებით) დაქვითვებით საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხული თანხის რაოდენობის გამოქვეყნება. ამით საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისათვის გამჭვირვალე და თვალსაჩინო გახდებოდა თუ რა ეკონომიკური ეფექტი და შემოსავალი მოუტანა BTC-ის ნავთობსადენის პროექტმა საქართველოს ბიუჯეტს.

სრული საჯაროობისათვის სასურველია აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს BTC კომპანიის ვებ-გვერდზე.

## 3.2. მიწის საკითხები

### 3.2.1. მიწის საკითხების ზოგადი მიმოხილვა.

პროექტის ფარგლებში შექმნილმა „სოციალური და ადამინის უფლებების დაცვის ჯგუფმა“ მონიტორინგის საქმიანობა დაიწყო 2005 წლის თებერვლის თვეში. საქმიანობის პერიოდში ჯგუფის მიერ მონახულებული იქნა პროექტით დაფარული რაიონები.

რაიონებში გასვლის დროს, წინასწარ შემუშავებული გამოკითხვის მეთოდოლოგიის საფუძველზე ჯგუფის წევრების მიერ ჩატარდა გამოკითხვა იმ რესპონდენტებთან, რომლებმაც კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთების შესყიდვის პროცესში უშუალო ზეგავლენა განიცადეს.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული შემდეგ პრობლემურ საკითხებზე:

- მოსახლეობის არასრულყოფილი ინფორმირებულობა და გასაჩივრების მექანიზმი;
- აუცილებელი გზის უფლება;
- მიწის ინვენტარიზაცია;
- 500 მეტრიანი დაცვის ზონა;

- „ნარჩენი“ და „დარჩენილი“ მიწა;
- BTC მიღსადენის სამშენებლო სამუშაოების გამო მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნებავთების დაზიანების პრობლემა.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით პროექტის განხახორციელებელ კომპანიას პროექტის ფარგლებში მომზადებულ დოკუმენტებში აღებული პქონდა მთელი რიგი ვალდებულებები.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ჯგუფის მიერ გამოკითხული მიწის მესაკუთრეებისა და მოსარგერგებლების ერთი ნაწილი კმაყოფილებას გამოიჭამს, ხოლო მეორე ნაწილი უქმაყოფილოა (აღნიშნავს) ბაქო-თბილისი-ჯევიპანის მიღსადენის კომპანიის მიერ “მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის გაცემის პროცესში” აღებული ვალდებულებების დარღვევას და მათი, როგორც მიწის მესაკუთრეებისა და მოსარგებლების უფლებების შელახვას, რაზეც უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილ ანგარიშში არის თავმოყრილი.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პრობლემები დღესდღეობითაც საკმაოდ აქტუალურია, BTC კომპანია იწყებს მიწის ნაკვეთების უკან დაბრუნების პროცესს. თუმცა, სასურველი იქნება, რომ კომპანიის მხრიდან გათვალისწინებულ იქნას “მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის პროცესში” დაშვებული დარღვევები, რათა მეორე ეტაპი, “მიწის ნაკვეთების უკან დაბრუნების პროცესი”, გაცილებით გამჭვირვალედ ჩატარდეს მიწის მესაკუთრეებისათვის და მოსარგებლებისათვის.

### **3.2.2. დაკვირვებები, ვალდებულებები, მიგნებები და რეკომენდაციები**

მონიტორინგის, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის და კითხვარების ანალიზის შედეგად სამუშაო ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

**3.2.2. ა) მოსახლეობის არასრულყოფილი ინფორმირებულობისა და საჩივრების განხილვის მექანიზმებთან მიმართებით გამოვლენილი დარღვევა**

#### **დაკვირვება**

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესაკუთრეთა გარკვეული ნაწილი არასრულყოფილად არის ინფორმირებული მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის პროცესთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე (მაგ: გამოკითხული მიწის მესაკუთრეების საერთო რაოდენობის 28,7%-დან 20,9%-ს არ პქონდა ინფორმაცია მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაციის პროცესზე; 4,3% გერ განმარტავს “ნარჩენი” და “დარჩენილი” მიწის

ნაკვეთების ცნებას). აღნიშნული პრობლემა არსებობს ჯგუფის მიერ მონახულებულ ყველა სოფელში.

გამოკითხული მოსახლეობა (მიწის მესუკუთრეთა 28,7%-დან 7,8%) ასევე, დამატებით აღნიშნავს, რომ არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას პროექტის ფარგლებში შემუშავებული “გასაჩივრების მექანიზმის” თაობაზე, არ იცის რა სახის მექანიზმით განხორციელდება მისი საჩივრების განხილვა და ვის უნდა მიმართოს აღნიშნულთან დაკავშირებით. ანუ, მოსახლეობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას “საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრისა” და მისი ფუნქციების შესახებ..

„განსახლების სამოქმედო გეგმასა“ (ნახატი 7.1 „საჩივრების პროცესი“ გვ. 7-25) და „მიწის შეძენის და კომპენსაციის სახელმძღვანელოში“ მითითებული არ არის პასუხისმგებელი პირი, რომელიც განიხილავს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს მოსახლეობის საჩივრებზე ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის მშენებლობის დროს წამოჭრილ მიწის საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე ის ფაქტი თუ რა საშუალებით უნდა გავრცელებულიყო მოსახლეობაში ინფორმაცია და ვინ იყო პასუხისმგებელი აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაზე. სამუშაო ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმიდან“ თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის.

„განსახლების სამოქმედო გეგმა“ გადაცემული იყო მხოლოდ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებისათვის და როგორც ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობას არანაირი ინფორმაცია არ მიუღია აღნიშნული დოკუმენტის შესახებ.

## ვალდებულება

“განსახლების სამოქმედო გეგმის” შესაბამისად (თავი 7.10 საჩივრების დაკმაყოფილება და სადაცო საკითხების მოგვარება; საჩივრების პროცესის ძირითადი ეტაპები; გვ 7-26):

BTC კომპანიამ და სამშენებლო კონტრაქტორმა უნდა შეიმუშავონ საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც გამოყენებული იქნება მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემების მოსაზღვარებლად.

## მიგნება

უნდა აღინიშნოს, რომ მიწის მესაკუთრების არასრულყოფილი ინფორმირებულობა მიწის შეძენისა და კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით განაპირობა მათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის – ”მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს“ დაგვიანებით მიწოდებამ. პრაქტიკულად, მოსახლეობა მიწის შეძენის

შესახებ ინფორმაციას გაეცნო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწყებული იქნა მათგან პროექტის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების შეძენა.

რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმს და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის ინსტიტუტს, უნდა აღინიშნოს, რომ “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო” საერთოდ არ საუბრობს გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, ხოლო “განსახლების სამოქმედო გეგმა”, რომელიც ერთ თავში (RAP ნახატი 7.1 „საჩივრების პროცესი”; გვ. 7-25) მიუთითებს მექანიზმის მნიშვნელობასა და მის ეტაპებზე, ხელმისაწვდომი არ იყო მოსახლეობისათვის.

## რეკომენდაცია

იმის გამო, რომ უკვე დასრულებულია მიწის შეძენისა და კომპენსაციის პროცესი, შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე საკმაოდ დაგვიანებულია რაიმე სახის რეკომენდაციის შემუშავება. რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის ინსტიტუტს, სასურველია, რომ BTC კომპანიამ და მისმა სამშენებლო კონტრაქტორებმა დასახონ გეგმა, რომლის საფუძველზეც BTC მილსადენის მიერ გადაკვეთილ რაიონებში მოსახლეობას მიეწოდება დეტალური ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის ფუნქციების შესახებ. მომავალში, BTC-ის მიერ მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების დაბრუნების დროს ეს მექანიზმი, ისევე როგორც ამ მექანიზმის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა უნდა გაუმჯობესდეს.

## 3.2.2 პ) აუცილებელი გზის უფლებასთან დაკავშირებული დარღვევა

### დაკვირვება

სოფელ ვალეში მიწის მესაკუთრებთან შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ ერთერთი მიწის მესაკუთრესა და BTC კომპანიას შორის ნავთობსადენის 44-მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოხვედრილი ნაკვეთის შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოებული მოლაპარაკება მხარეებს შორის წარუმატებლად დასრულდა. მესაკუთრემ უარი განაცხადა BTC კომპანიისათვის მიწის მიყიდვის შესახებ, რის შემდეგაც, კომპანიამ მიმართა სასამართლოს აღიარებითი სარჩელით და მოითხოვა სასამართლოს ძალით მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე „აუცილებელი გზის უფლების“ მოპოვება.

აღნიშნული სარჩელის თანახმად, კომპანია საჭიროებს მესაკუთრის „მიწის ნაკვეთზე დაუყოვნებლივ შესვლას, რათა არ შეფერხდეს მილსადენის პროექტის განხორციელება“.

სარჩელში BTC მიღსადენის კომპანია აცხადებს, რომ: „ზოგადად საქართველოს სამეზობლო სამართლის დებულებათა და კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის საფუძველზე „მოსარჩელეს“, როგორც მეზობელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეს, მიაჩნია, რომ მას აქვთ აბსოლუტური კანონისმიერი უფლება შევიდეს და ისარგებლოს „მოპასუხეთა“ მიწის ნაკვეთებით იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მიღსადენის გაყვანისა და შემდგომი ფუნქციონირებისათვის“.

## ვალდებულება

BTC კომპანიას „მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს“ (GLAC-ი თავი მ-5 გვ. 16.) თანახმად აღმდება აქვთ შემდეგი ვალდებულება:

განხორციელდება კერძო ძალისხმეული, რათა მიღწეული იქნას ურთიერთმისაღები, შეთანხმება, მაგრამ იმ შემთხვევაში როდესაც ამ უბაპზე მოღაპარაკება კერძო მიღწეული, ნოტარიუსის მიერ იქმნება შეღავნილი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ პროექტების მიწის შეძენის ჯგუფმა მოღაპარაკებები სამართლიანად აწარმოა. ამის შემდგომ, პროექტისა და მიწის მესაკუთრის/მოსარგებლისათვის იარსებებს თუ გარიანტი:

- 1) მიღსადენის მარშრუტის შეცვლა მიწის ნაკვეთის გვერდის აგლიოთ;
- 2) ამოქმედდება კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ.

საკუთრების ჩამორთმევის წესი უფრო დეტალურად განმარტებულია „მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოში“ (თავი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა“ გვ. 20), სადაც აღნიშნულია, რომ:

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის ხელშეკრულება, რომელიც პროექტებს აქვთ გაფორმებული საქართველოს მთავრობასთან, იძლევა საშუალებას პროექტებმა გამოიყენოს საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების წესის ჩამორთმევის შესახებ“ სადაც ეს საჭიროება იქნება. აღნიშნული (ექსპროპრიაციის) უფლება გათვალისწინებულია კომპანიის მიერ „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადგებული ხელშეკრულების“ 4.1 (iii) მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით.

## მიგნება

BTC კომპანიის მიერ, მიწის შესყიდვის დროს მესაკუთრებისთან წარმოებული მოღაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემდგომ, ნაკვეთზე „აუცილებელი გზის უფლების“ მოთხოვნა არ შეესაბამება

„მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს“ მიხედვით ნაკისრ გალდებულებას (გვ. 16; 20;).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ BTC კომპანიის მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით, აბსოლუტურად სხვაგვარად არის განმარტებული „აუცილებელი გზის უფლების“ შინაარსი, რაც შეუსაბამობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლთან. 180-ე მუხლი ეხება სამეზობლო სამართლის. „აუცილებელი გზის უფლების“ მოთხოვნის შემთხვევაში მიწის მესაკუთრეს არ უწესდება შეზღუდვები „აუცილებელი გზის“ გარეთ არსებულ მიწის ნაკვეთზე, რაც სახეზეა აღნიშნულ შემთხვევაში (GLAC სქემა 2: მილსადენის დაცვის ზონები; გვ: 6). აუცილებელი გზის უფლების მოთხოვნის შემთხვევაში კომპენსაცია ნაკლებია ექსპროპრეაციის დროს გადახდილ თანხაზე. კონკრეტულად, სარჩელის თანახმად კომპანია ითხოვს მიწის ნაკვეთზე მილსადენის მშენებლობისათვის საჭირო ნებისმიერი ტიპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლებას, ხოლო თავის მხრივ სრულიად ზღუდვას (სარჩელზე თანდართული აუცილებელი გზის უფლების პირობებით) მესაკუთრის უფლებას თავისუფლად განკარგოს მის საკუთრებაში არსებული ქონება (მიწის ნაკვეთი).

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ BTC კომპანია „აუცილებელი გზის უფლების“ მინიჭების მოთხოვნით შეუსაბამობაში მოდის ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის პირველი პროტოკოლის პირველ მუხლის და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შინაარსთან, სადაც აღიარებული და დაცულია მიწის მესაკუთრეთა უფლებები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული დოკუმენტი იერარქიულად უფრო მაღლა დგას ვიდრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და აქედან გამომდინარე კომპანია ვალდებულიც იყო შეესრულებინა ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამასთან, BTC კომპანიამ, ზემოთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიარა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა ამავე მუხლით მესაკუთრეს არ უწესდება თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე გარკვეული შეზღუდვები, რაც სახეზეა აღნიშნულ შემთხვევაში.

## რეკომენდაცია

სასურველია BTC მილსადენის კომპანიის მიერ განხილულ იქნას „აუცილებელი გზის უფლების“ გამოყენების მართებულობა. იმ მიწის მესაკუთრეებს, რომელთა ნაკვეთებზეც კომპანიამ მოიპოვა აღნიშნული უფლება გადაეხადოთ მიწის შედარებით მაღალი ფასი და მოხდეს ნაკვეთების შესყიდვა.

### **3.2.2. გ) მიწის ინვენტარიზაციის საკითხთან დაკავშირებული დარღვევა**

#### **დაპირება**

გამოკითხული მოსახლეობის (მიწის მესაკუთრეთა 28,7%-დან 20.9%-ს) ერთი ნაწილის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ მიწის მესაკუთრეებს, რომელთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მოექცა მილსადენის 44-მეტრიან სამშენებლო დერეფანში, მონაწილეობა არ მიუღიათ პროექტის მიწის ჯგუფის მიერ მათ ნაკვეთებზე ჩატარებული ინვენტარიზაციის პროცესში, ხოლო მეორე ნაწილის (27,3%-დან 9.6%) განცხადებით კი, ისინი ესწრებოდნენ ამ პროცესს. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ხელი მოაწერეს ინვენტარიზაციის დოკუმენტს, მაგრამ დღემდე არ მიუღიათ ხელმოწერილი ინვენტარიზაციის დოკუმენტის ასლი, მათი მხრიდან მოცემული დოკუმენტის არაეთგზის მოთხოვნის მიუხდავად.

მესაკუთრეთა ორივე ნაწილს ძალიან კარგად აქვს გათვითცნობიერებული ინვენტარიზაციის დოკუმენტის შინაარსის მნიშვნელობა, რომელიც „მიწის შეძენისა და კომპანიის სახელმძღვანელოს“ თანახმად BTC კომპანიის მიერ განხორციელებული შეთავაზებული თანხის გამოთვლის საფუძველს წარმოადგენს.

მიწის მესაკუთრეების დიდი იმედი, რომ კომპანია მათ მიერ ხელმოწერილ, ინვენტარიზაციის დოკუმენტს ჩადებდა მიწის შესყიდვის „შეთავაზების პაკეტში“, არ გამართლდა.

#### **გალდებულება**

კომპანიის მიერ „მიწის შეძენის სახელმძღვანელოში“ (თავი-ინვენტარიზაცია/შემოწმება; გვ 9, აღნიშნულია, რომ:

2002 წლის ივლისის თვიდან დაწყებული, ჯგუფმა (რომელიც მოიცავს პროექტის მიწის შეძენის ჯგუფის წარმომადგენელს და ხშირ შემთხვევაში ასევე BTC -ის წარმომადგენელს) დაიწყო მივლინებების განხორციელება და შეხვედრების ჩატარება კველა იმ მიწის მესაკუთრეთან და მოსარგებლებთან, რომლებიც მოხვდნენ 44-მეტრიანი სამშენებლო დერეფანის ფარგლებში ან მიწის ზედა ნაგებობების განლაგების აღვიდვებთან და რომლებზეც პროექტმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს. ჯგუფი შეხვდა მიწის მესაკუთრეებს/მოსარგებლებს, ასევე სხვა მხარეებს, რომლებიც თავად მოიწოდეს მიწის მესაკუთრეებმა/მოსარგებლებმა, რათა განხორციელებულიყო იმ მიწის ნაკვეთების და ქონების დუბალური აღწერა და შემოწმება, რომლებზეც მოხდება ზეგავლენა.

ინვენტარიზაცია/შემოწმების თარიღის დანიშნის მიზნით ხოვლის საკრებულოების საშუალებით, ხდება მიწის მესაკუთრეების ნაკვეთების დაკავშირება.

## მიზნება

მიწის მესაკუთრეებისათვის “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო” არ იყო ხელმისაწვდომი ნაკვეთების ინვენტარიზაციის ჩატარებამდე, ამდენად მათთვის სრულიად გაუგებარი იყო, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაციის მნიშვნელობა და დანიშნულება.

კომპანის მიერ მიწის მესაკუთრეებისათვის ინვენტარიზაციის დოკუმენტის გადაუცემლობის გამო, მათ არ მიეცათ საშუალება გადაექმოწმებინათ BTC მიღსადენის კომპანიის შეთავაზების პაკეტისა და ინვენტარიზაციის დოკუმენტის შინაარსის შესაბამისობა და ეს მოხდა მაშინ, როდესაც თავად კომპანია განსაზღვრავს, რომ ინვენტარიზაციის დოკუმენტი წარმოადგენს შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის გამოთვლის საფუძველს.

BTC კომპანიის მიერ დარღვეული იქნა დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის თანახმად პიროვნებას გადაუცემა მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ასლი.

## რეკომენდაცია

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით საკმაოდ დაგვიანებულია ამ თემაზე საუბარი, სასურველია, რომ კომპანიამ მიწის მესაკუთრეებს გადასცეს მათ მიერ ხელმოწერილი ინვენტარიზაციის დოკუმენტების ასლები, რათა გაფანტულ იქნას მათი ეჭვები ინვენტარიზაციის დოკუმენტით გამოანგარიშებული კომპენსაციის ოდენობის და კომპანიის მიერ გადახდილი თანხის რელევანტურობის შესახებ.

მსგავსი გამოცდილების გათვალისწინება დაეხმარება კომპანიას მომავალში არ დაუშვას შესაბამისი შეცდომები სხვა პროექტების განხორციელებისას.

## 3.2.2 დ) 500 მეტრიანი დაცვის ზონასთან დაკავშირებული დარღვევა

### დაკვირვება

გარდაბნის რაიონის სოფელ ახალ სამგორში მიწის მესაკუთრეთა გამოკითხვის დროს, გაირკვა, რომ მათ ძირითადად აწუხებთ ორი სახის პრობლემა, რაც უკავშირდება თითოეული მიღსადენის ორივე მხარეს მდებარე 500 მეტრიანი დაცვის ზონას.

1. სოფელ ახალ სამგორში მიწის მესაკუთრეებს საკუთრებაში აქვთ არასასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთები, რომლებიც

გადაკვეთილი იქნა BTC მიღსადენის 44-მეტრინი სამშენებლო დერეფნით. მიწის მესაკუთრეებს კომპანიის მხრიდან გადაეცათ კომპენსაცია, დერეფნის შიგნით მოხვედრილ ტერიტორიაზე, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. პრობლემური ვითარება შეიქმნა მაშინ, როდესაც საკარმიდამო დანიშნულების მიწის ნაკვეთებმა დაკარგეს თავისი ფუნქცია, და მათზე პრაქტიკულად შეუძლებელია სამშენებლო საქმიანობის განხორციელება. საკარმიდამო ნაკვეთების ნაწილი მოქცეულია მიღსადენის 44-მეტრიან სამშენებლო დერეფნანში, ხოლო დერეფნის გარეთ დარჩენილ ნაწილზე ვრცელდება მიღსადენის 500-მეტრიანი დაცვის ზონის შეზღუდვები.

2. სოფელ ახალ სამგორში, მიღსადენის 44-მეტრიანი სამშენებლო დერეფნის გარეთ ძალიან ახლოს (დაახლოებით 2მ-ში და ზევით) მდებარეობს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. მიუხედვად იმისა, რომ ეს ნაკვეთები არ იქნა გადაკვეთილი მიღსადენის 44-მეტრიანი სამშენებლო დერეფნის მიერ, ისინი მდგბარეობენ მიღსადენის 500-მეტრიანი დაცვის ზონაში, სადაც დაწესებულია შეზღუდვები სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

სოფელ ახალ სამგორში მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები დღემდე უშედეგოდ ცდილობენ გაარკვიონ, რა ტიპის შეზღუდვები ვრცელდება მათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელებისას და ეპუთვნით თუ არა შესაბამისი კომპენსაცია. მათ არაერთხელ მიმართეს, BTC კომპანიას და საქართველოს ნაგობის საერთაშორისო კორპორაციას საკითხის დეტალურად გარკვევის მიზნით, მაგრამ ვერ მიიღეს კითხვებზე კონკრეტული პასუხი, რაც მათ დღემდე ტოვებს გაურკვეველ ვითარებაში.

## გალდებულება

“მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს” თანახმად (სქემა 2; გვერდი 6):

“გვ-2 ზონა: თოთოუელი მიღსადენის ორივე მხარეს 15 მეტრის ფარგლებში იკრძალება საცხოვრებელი შენობების აუგნება; გვ-3 ზონა: თოთოუელი მიღსადენის ორივე მხარეს 500 მეტრის ფარგლებში იკრძალება მსხვილი სამშენებლო ობიექტების გენერაცია (მაგალითად: საავადმყოფოები, სკოლები და ა.შ) ამ ზონაში პროექტს სურს მონაწილეობა მიიღოს დაგეგმვარების საკითხების გადაწყვეტაში”.

“მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს” თანახმად (თავი: საკარმიდამო ნაკვეთები; გვ 14):

“პროექტი აპირებს საკარმიდამო ნაკვეთებისათვის გადაიხადოს დანამატი, ანუ იმ ღირებულებაზე უფრო დიდი თანხა ვიდრე ითვლება გამართლებულად. აქედან გამომდინარე საკარმიდამო

ნაკვეთები შეფასდება უფრო დიდ თანხად, ვიდრე მეზობლად მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწა, რათა აისახოს მშენებლობის უფლებების არსებობა იმ ტერიტორიებზე, სადაც არსებობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურა. დირებულება იქნება 15%-ით უფრო მაღალი, ვიდრე მეზობლად მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულება. მიღება 44-მეტრი სიგანის დერუფნის გადაკვეთის ზონაში მოქცეული და 500კვ. მეტრზე ნაკლები ფართობის მქონე საკარმილო ნაკვეთების შემთხვევაში, პროექტები კომპენსაციას გადაიხდიან მთლიანი საკარმილო ნაკვეთის სანაცვლოდ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიღება შეზღუდვის ზონებმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ მიწის ზოგიერთი მესაკუთრის შესაძლებლობაზე, რომ მათ ააშენონ საცხოვრებელი სახლები ან სხვა ნაგებობები საკუთარ მიწაზე იქ სადაც 44 მეტრიანი სამშენებლო დერუფნის გარეთ შეზღუდვები მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს რომელიმე დარჩენილ საკარმილო ნაკვეთზე, განხილული იქნება კომპენსაცია კონკრეტული შემთხვევების განხილვის საფუძველზე”.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილების “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ” საფუძველზე:

ქალაქში მცხოვრებ მოქლაქეებს და სოფელში მცხოვრებ, გაყოფის შედეგად წარმოქმნილ კომლებს სოფლების ტერიტორიაზე (მათ შორის სოფელ ახალ სამგორში) საკუთრებაში გადაეცათ საკარმილო მიწის ნაკვეთები.

## მიზნება

სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა, რომ მიღება დერუფნით გადაიკვეთა, და დერუფნის გარეთ მდებარეობს საკარმილო ნაკვეთები გარდაბნის რაიონის სოფელ ახალ სამგორში. სამწუხაროდ როგორც “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო” (მიწის ნაკვეთების ღირებულება) ასევე “განსახლების სამოქმედო გეგმა” (თავი 5.4.12 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეფასება - საკარმილო ნაკვეთები; გვ 5-23) ითვალისწინებს მხოლოდ ქ. რუსთავში მდებარე ბინათმშენებლობის ნაკვეთების მიღება და მათი კომპენსაციის თავისებურებებს.

“მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოში” და “განსახლების სამოქმედო გეგმაში” ბუნდოვნად არის მითითებული თუ რა ტიპის შეზღუდვები უწესდებათ მიღება 500-მეტრიანი დაცვის ზონაში მოქცეულ მიწის მესაკუთრეებს ნაკვეთების სარგებლობაზე და საერთოდ არ არის მითითებული ეკუთვნით თუ არა კომპენსაცია აღნიშნულ ზონაზე გავრცელებულ შეზღუდვებზე.

## **რეკომენდაცია**

BTC მიღსადენის კომპანიის მიერ მოხდეს 500-მეტრინი დაცვის ზონაში მოქმედი შეზღუდვების დაკონკრეტება (ისე, როგორც ამას ადგილი აქვს თოთოვეული მიღსადენის ორივე მხარეს 15 მეტრის ფარგლებში) და დაკონკრეტებული ინფორმაცია მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ მიწის მესაკუთრეს.

### **3.2.2 ე) „ნარჩენი“ და „დარჩენილი“ მიწის საკითხთან დაკავშირებული დარღვევა**

#### **დაკვირვება**

გამოკითხული მოსახლეობიდან (ნარჩენი მიწის მესაკუთრეთა 6,4%-დან 5,3%) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ მათ პრობლემები წარმოეშვათ მას შემდეგ, რაც კომპანია BTC-ის მიერ მოხდა მიწის შეძენა მიღსადენის მშენებლობისათვის. კერძოდ გამოკითხული მოსახლეობის თქმით, მიღსადენმა გაიარა მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შუაში და დარჩათ მიწის ნაკვეთი, რომლებსაც ვერ ამჟამადებენ. მათ არ იციან სამშენებლო დერეფანის გარეთ დარჩენილი მიწის ნაკვეთი, რომელიც მათ საკუთრებას წარმოადგენს, „ნარჩენია“ თუ „დარჩენილი“. მათ აგრეთვე არ იციან თუ რა განსხვავებაა „ნარჩენი“ და „დარჩენილ“ მიწის ნაკვეთებს შორის, აქვთ თუ არა უფლება მოითხოვონ „ნარჩენი“ მიწის ანაზღაურება, რა დროის მონაკვეთში აქვთ უფლება ამგვარი მოთხოვნით მიმართონ კომპანიას და რა დროის მონაკვეთში დაკმაყოფილდება კომპანიის მხრიდან მათი ამგვარი მოთხოვნა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მოსახლეობის არაინფორმირებულობას ხელს უწყობს თვით ის ფაქტი რომ ტერმინი „ნარჩენი“ და „დარჩენილი“ მიწა საერთოდ არ არის დიფერენცირებული „მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოში“.

#### **გალდებულება**

„მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო“ (RAP თავი „მიწის საკუთრება; გამოყენება გვ.5.) ითვალისწინებს, რომ:

თუ „სამშენებლო დერეფანი გაივლის მიწის ზოგიერთ ნაკვეთზე და ორივე მხარეს დარჩება მიწის მცირე ზომის ნაკვეთები, რომელიც პროექტების მიერ არ იქნება გამოყენებული მშენებლობისას, მიწის ასეთ ნაკვეთზე სახოფლო-სამეურნეო საქმიანობა შეიძლება გაგრძელდეს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დარჩენილი ნაკვეთის ფართობი შესაძლოა მეტისმეტად მცირე იყოს მისი კულტივირების ეკონომიკური ღირებულებისათვის ან სამშენებლო დერეფანის გადაკვეთით მისახლელი შესაძლოა

გაუმართლებელი შეზღუდული იქოს. ასეთი ნარჩენი მიწა  
პროექტის მიერ ანაზღაურებული იქნება.

მას შემდეგ, რაც განიხაზღვრება 44-მეტრიანი სამშენებლო  
დერეფანი, მოხდება „დარჩენილი“ და „ნარჩენი“ მიწის განხაზღვრა.  
ასეთ შემთხვევებში მესაკუთრეული და მოსარგებლების გადაეხდებათ  
კომპენსაცია იმავე საკომპენსაციო განაკვეთების საფუძველზე, რაც  
მიესადაგება იმ მიწის ნაკვეთების ფართობს, რომელიც 44 მეტრიანი  
სამშენებლო დერეფანის ფარგლებში მდებარეობს. „ნარჩენია“ თუ არა  
მიწა გადაწყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

## მიზნება

სახელმძღვანელოში მითითების გარეშეა დარჩენილი ესა თუ ის ნაკვეთი  
„ნარჩენია“ თუ „დარჩენილი“, აგრეთვე პასუხისმგებელი პირი (მიწის  
მესაკუთრემ/მოსარგებლებმ, თუ მიწის შეძენის ჯგუფმა), ვინც უნდა  
დაადგინოს/დაამტკიცოს არის თუ არა მიწა „ნარჩენი“, რა დროის  
მონაკვეთში აქვს მიწის მესაკუთრეს უფლება მიმართოს აღნიშნული  
მოთხოვნით კომპანიას, რა დროის მონაკვეთში მოხდება აღნიშნული  
მიწის ანაზღაურება და ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი, რომელიც  
აწარმოებს მოლაპარაკებას ამ საკითხებთან მიმართებაში.

კომპანიის მიერ მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს  
მიხედვით აღებული ვალდებულება, 44-მეტრიანი სამშენებლო დერეფნის  
განხაზღვრის შემდეგ განემარტა დარჩენილი და ნარჩენი მიწის ცნება  
დღემდე შეუსრულებელია.

## რეკომენდაცია

სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, კომპანია **BTC**-ის მიერ შესაძლებელია  
განისაზღვროს ტერმინი „ნარჩენი“ მიწა შემდეგი კრიტერიუმებით: ა)  
მიწა, რომლის დამუშავება შეუძლებელია ტექნიკური საშუალებებით  
მისი სიმცირის გამო; ბ) მიწა, რომლის დამუშავება შეუძლებელია მისი  
ფორმის გამო; გ) მიწა, რომლის დამუშავება შესაძლებელია, მაგრამ  
დაუშებელია მისი დამუშავება მისასვლელი გზის არარსებობის გამო;  
დ) მიწა რომლის დამუშავება შესაძლებელია, მაგრამ პროექტის  
განხორციელების გამო დაუშებელია საირიგაციო საშუალებების  
გამოყენება.

გარდა ამისა, უმჯობესია მესაკუთრეებს ეცნობოს ვადა, თუ რა დრომდება  
შესაძლებელი ამ საკითხების გადასაწყვეტად მიმართონ კომპანიის და რა  
დროის მონაკვეთში გადაწყვეტს კომპანია ამ პრობლემას, ვინ იქნება  
პასუხისმგებელი პირი ვინც დაადგენს და გადაწყვეტს ამ პრობლემას.

**3.2.2. გ) BTC მიღებადენის სამშენებლო სამუშაოების გამო მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამუშაო დანიშნულების მიწის ნეკვითების დაზიანების პრობლემასთან დაკავშირებული დარღვევა**

### **დაკვირვება**

სამუშაო ჯგუფის მიერ ახალციხის რაიონ სოფელ ვალეში გამოკითხული მოსახლეობიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაირკა, რომ BTC კომპანიის მიერ, ფოცხოვი 1 მდინარის კვეთის დროს წარმოებული სამშენებლო სამუშაოების გამო მოირღვა მდინარის ბუნებრივი და ხელოვნური ჯებირების სისტემა, რომლებიც კალაპოტს ამაგრებდნენ. აღნიშნულის შედეგად, მოხდა მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლა და მახლობლად მდებარე ნაკვეთების დატბორვა, რამაც გამოიწვია ნაკვეთებზე არსებული მცენარეების დაღუპვა. მიუხედავად მოსახლეობის მოთხოვნისა (2005 წლის 18 აპრილს SPJV კომპანიაში შეტანილ იქნა პირველი საჩივარი დატბორვასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე – BTC-ში შეტანილ იქნა 2005 წლის 1 აგვისტოს; 12 აგვისტოს საჩივარს მიანიჭეს სარეგისტრაციო ნომერი), მიუხედავად მოსახლეობის მოთხოვნისა, კომპანიამ არ აუნაზღაურა მოსახლეობას აღნიშნული საქმიანობით გამოწვეული ზიანი.

სოფელ ვალეში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ასევე გაირკა, რომ მიღებადენის 44-მეტრიან სამშენებლო დერეფანში წარმოებული მშენებლობის დროს მთლიანად განადგურდა და დაზიანდა დერეფნის გარეთ არსებული ნაკვეთების სარწყავი არხები, რაც შეუძლებელს ხდის ნაკვეთის შემდგომ გამოყენებას. აღნიშნული პრობლემა, ასევე, აწუხებს გარდაბნის რაიონის სოფელ ახალი სამგარის მოსახლეობასაც, რაც მათთან შეხვედრის დროს იქნა გამოვლენილი.

დაზიანებული მიწის მესაკუთრების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთხელ მიმართეს საჩივრით სამშენებლო კომპანია SPJV-ის, საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

### **გალდებულება**

BTC კომპანიის „მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო“ (თავი - უძრავი ქონების/ინფრასტრუქტურის კომპენსაცია, გვ 15) განსაზღვრავს, რომ

„გეგებელი კონტრაქტორის მიერ სამშენებლო ტექნიკოგიების გამოყენებისას, თავიდან იქნება აცილებული საირიგაციო სისტემების დაზიანება“.

„განსახლების სამოქმედო გეგმა“ (ცხრილი 7.2, გვ 7-20) ადგენს:

„BTC კომპანია მიღებადენის გეგებლობისათვის გამოყენებს საბურღ ტექნიკას, მცირე და დიდი საირიგაციო არხების ან საქანი

სადგურების ზემოთ ან ქვემოთ გასაბურდად, სარწყავი არხების მოქმედების შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით. თუ გაჩნდება რაიმე პრობლემა რომელიც ზეგავლენას მოახდენს მოსავალზე, გადახდილი იქნება შესაბამისი კომპენსაცია“

BTC კომპანიის მიერ მომზადებული „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დოკუმენტი (ცხრილი 11.5, პასუხი ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში მიღებულ შენიშვნებზე, თავი 6.8) ადგენს:

„კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა პროექტის განხორციელების შედეგად არ განიცდიდებ წყლის მოწოდების ნაკლებობას.“

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების რეესტრი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმა გვ.16, ადგენს:

რეაგირება საჩივარზე: ყველა საჩივარს პასუხი უნდა გაეცემა წერილობითი ფორმით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებულია საჩივარზე სიტყვიერი პასუხის გაცემა (მაგ. იმ შემთხვევაში თუ მომჩივანმა არ იცის კითხვა)

## მიგნება

BTC მიღსადენის კომპანიისა და მისი სამშენებლო კონტრაქტორის მიერ ჯეროვნად არ ხდება რეაგირება მოსახლეობის საჩივრებზე მოსავალზე დატბორვის ზეგავლენასთან და სამშენებლო საქმიანობით საიარიგაციო სისტემებზე მიყენებული ზიანის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებული საირიგაციო არხებსა და დატბორილი ნაკვეთების პრობლემების შესახებ მიწის მესაკუთრეებმა არაერთხელ მიმართეს სამშენებლო კონტრაქტორი კომპანიისა და BTC კომპანიის წარმომადგენლებს, საკითხი დღემდე არ არის გადაჭრილი. პრობლემა პრობლემად რჩება, ხოლო მიწის მესაკუთრეები ვეღარ იყენებენ მათ საკუთრებაში არსებულ, ძირითად საარსებო საშუალებას-სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (იხილეთ მოცემული ანგარიშის ქვეთავი 3.3. – ინფრასტრუქტურა).

## რეკომენდაცია

BTC კომპანიამ დეტალურად განიხილოს სოფელ ვალესა და სოფელ ახალსამგორში წამოჭრილი პრობლემები. დაადგინოს, თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული ზარალი, და თუ დადგინდა რომ პრობლემა წარმოიშვა მიმდინარე მშენებლობის მიზეზით, ადადგინოს სარწყავი არხები და გადაიხადოს ნაკვეთების დატბორვისა და საირიგაციო სისტემების დაზიანების გამო მიწის მესაკუთრეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

### 3.3. ინფრასტრუქტურა

#### 3.3.1. ინფრასტრუქტურის ზოგადი მიმოხილვა

მოსალოდნელი იყო, რომ მილსადენების მშენებლობისას, მიმდებარე რეგიონებში ადგილი ექნებოდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურაზე მთელ რიგ დადებით და უარყოფით ზემოქმედებას. განსაკუთრებული ზეგავლენა განიცადეს გზებმა და ხიდებმა. BTC კომპანიის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებსა და სხვა დოკუმენტებში გათვალისწინებული იყო, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა მშენებლობას გზებზე და ხიდებზე და შესაბამისად მშენებელი კომპანიის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი ზომები, მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენაის მინიმუმადე დაყვანის მიზნით. კერძოდ BTC –იმ შეიმუშავა შემდეგი დოკუმენტები:

1. ინფრასტრუქტურის და მომსახურების მართვის გეგმა
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმა
3. მასაინდელი ქვეყნის მათავრობასთან დადებული ხელშეკრულების ტრანსპორტის მოცრაობის სამოქმედო გეგმა
4. AGT Project Road Repair Information Georgia IPMT
5. წინა-სამშენებლო მდგომარეობის შესწავლის დოკუმენტი

გარდა ამისა, კომპანიის მიერ სპეციალურად შემუშავებული იყო დოკუმენტი – ვალდებულებათა რეესტრი (თავი - ინფრასტრუქტურა), სადაც მოცემულია ის კონკრეტული ვალდებულებები, რომელიც უნდა შეასრულოს კომპანიამ ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში.

BTC პროექტის ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენა სოციოლოგიური და ადამიანის უფლებათა ჯგუფის მიერ შერჩეულ იქნა როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი. ასევე ჯგუფის ორმა წევრმა გამოთქვა სურვილი, რომ უფრო დეტალურად ემუშავა აღნიშნულ საკითხებზე.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ კითხვარში გარკვეული ნაწილი ინფრასტრუქტურას დაეთმო. ჩატარებული გამოკითხვების და დაკვირვებების შედეგად, გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მათზე. ამ საკითხთა გადაწყვეტას, მოსახლეობა BTC -საგან მოელის.

როგორც უკვე აღინიშნა, სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეულ იქნა 8 სოფელი (4 რეგიონი), რომელთა დაკვირვების საფუძველზე შემუშავდა ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები. კერძოდ:

- როგორი იყო მილსადენის გასწვრივ მიმდებარე რეგიონებში გზების მდგომარეობა ნავთობსადენის მშენებლობამდე და რა ცვლილება (ზეგავლენა) განიცადა გზებმა კომპანიის მიერ მათი გამოყენების შედეგად.

- როგორი იყო მილსადენის გასწვრივ მიმდებარე რეგიონებში ხიდების მდგომარეობა ნავთობსადენის მშენებლობამდე და რა ცვლილება (ზეგავლენა) განიცადა ხიდებმა კომპანიის მიერ მათი გამოყენების შედეგად.

- როგორია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე:

ა) გზების და ხიდების წინასწარი მდგომარეობის შესწავლის, აღდგენების და ზოგადად მშენებელი კონტრაქტორის სამუშაო გრაფიკის შესახებ (კერძოდ, რომელი გზები გამოიყენება მშენებლობის პროცესში და როდის);

ბ) კომპანიის და კონტრაქტორის პასუხისმგებლობების შესახებ გზების და ხიდების აღდგენებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ BTC კომპანიის მონაცემებით, გზების და ხიდების აღდგენა ზეგავლენის ქვეშ მყოფ უმეტეს რეგიონებში დაწყებულია, მიმდინარეობს ან უკვე დასრულებულია, გამოკითხვისთვის შერჩეულ რეგიონებში, მოსახლეობის უმრავლესობა - 75% - უჩივის ნავთობსადენის მშენებლობის შედეგად გზების მდგომარეობის გაუარესებას. გამოკითხულთა 44% აღნიშნავს, რომ ხიდების მდგომარეობა მშენებლობის დაწყების შემდეგ გაუარესდა.

სამუშაო ჯგუფმა არამიზანშეწონილად ჩათვალა ზოგიერთი სხვა საკითხის უგულველყოფა. ეს საკითხებია:

1. შერჩეულ რეგიონებში, იქ სადაც გზები ძალიან ახლოს გადის დასახლებულ პუნქტებთან და გამოყენებულ იქნენ მშენებლობისას, მოსახლეობა უჩივის ვიბრაციის შედეგად სახლების და სხვა შენობა-ნაგებობების/ღობეების დაზიანებას.

2. შერჩეულ რეგიონებში, იქ სადაც გზები ძალიან ახლოს გადის დასახლებულ პუნქტებთან და/ან არის მშენებლობისათვის კარიერების გამოყენების შემთხვევები, მოსახლეობა უჩივის მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და აფეთქებების შედეგად წარმოქმნილ მტვერს და აქედან გამომდინარე, მაცხოვრებელთა ჯანმრთელობის გაუარესებას და გზების მიმდებარე ნაკვეთებზე ნარგავების დაზიანებას.

3. მძიმე ტექნიკის მოძრაობისას, მისი სიმძიმის შედეგად, ასევე დაზიანდა საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემები.

### **3.3.2. დაკვირევებები, მიგნებები, ვალდებულებები, რეკომენდაციები**

#### **3.3.2. a) შეუსაბამობა გზების მდგომარეობასთან დაკავშირებით**

##### **დაკვირვება**

სამუშაო ჯგუფის წევრებმა, შერჩეულ რეგიონებში მონიტორინგის ჩატარებისას, შეისწავლეს გზების შემდეგი მონაკვეთების მდგომარეობა:

1. ვალე-ახალციხე-აწყურის ძირითადი გზის მონაკვეთი და შიდა გზები (ახალციხის რაიონი)
2. ციხისჯვარი-ბაკურიანის გზის მონაკვეთი და შიდა გზები (ბორჯომის რაიონი)
3. ჭივჭავი-თეთრიწყაროს გზის მონაკვეთი (თეთრიწყაროს რაიონი)
4. ჯანდარას შიდა და მისასვლელი გზები (გარდაბნის რაიონი)
5. ლემშვენიერას შიდა და მისასვლელი გზები (გარდაბნის რაიონი)
6. ლელაშხას შიდა და მისასვლელი გზები (გარდაბნის რაიონი)
7. ახალი სამგორის შიდა და მისასვლელი გზები(გარდაბნის რაიონი).

სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა თითოეული გზის აღნიშნული მონაკვეთების დათვალიერება. (გამოკითხული მოსახლეობის 91,1% - ის აზრით კომპანია მშენებლობისთვის იყენებდა/იყენებს მათ შიდა და/ან მისასვლელ გზებს და ხიდებს, 2,1%- ის აზრით გზები/ხიდები გამოიყენება ნაწილობრივ). ჯგუფის აზრით, გზებთან მიმართებაში ყველაზე მძიმე მდგომარეობა დაფიქსირდა შემდეგ რეგიონებში: ვალე-ახალციხის ძირითადი გზის მონაკვეთი, ჭივჭავი-თეთრიწყაროს გზის მონაკვეთი და ციხისჯვარი-ბაკურიანის გზის მონაკვეთი და ის შიდა გზები, რომლებსაც კომპანია ნამდვილად იყენებდა მძიმე ტექნიკის სამოძრაოდ. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, ამ გზების მდგომარეობა ნამდვილად გაუარესებულია (სამუშაო ჯგუფის ინფრასტრუქტურის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები, მათი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე (იხ. ბიოგრაფიული მონაცემები) არაერთხელ იმყოფებოდნენ აღნიშნულ რეგიონებში და შეისწავლეს გზების მდგომარეობაც).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული გზების მდგომარეობის გაუარესება შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო მძიმე ტექნიკის მოძრაობით, არამედ კლიმატური პირობების გაუარესებით (განსაკუთრებით 2005 წლის წვიმების და წყალდიდობების შედეგად) და სახელმწიფოს მიერ (საგზაო დეპარტამენტი) საჭირო სარემონტო სამუშაოების შესრულების მცირე მოცულობით. (ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა, მე-7 თავი, წინა-სამშენებლო საქმიანობები. მუხლი 7.1. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს ინფრასტრუქტურის შესახებ)

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამუშაო ჯგუფმა, ბორჯომი-ციხისჯვარის გზაზე დაათვალიერა ბაკურიანის მისასვლელი და შიდა გზის (ციხისჯვარის გზა ბაკურიანზე გადის) მდგომარეობა. დღესდღეისობით აღნიშნულ მონაკვეთებზე მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები სტანდარტების სრული დაცვით-სანიაღვრე არხები და მაღალი ხარისხის ასფალტი და მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოხატავს.

როგორც ცნობილია, ბაკურიანი არის საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი საზაფხულო და საზამთრო კურორტი და მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ტექნიკას სოფლის შიგნით არ უვლია და იყენებდა შემოვლით გზებს, BTC -იმ გაითვალისწინა ამ კურორტის მნიშვნელოვნება და მოსახლეობისათვის შექმნილი გარკვეული პრობლემები და აღადგინა გზები პირვალნდელთან შედარებით ბევრად უკეთეს მდგომარეობამდე.

სამუშაო ჯგუფი გაეცნო AGT Project Road Repair Information Georgia IPMT დოკუმენტს და გამოავლინა, რომ ვალდებულებების თანახმად, საკმაო თანხა გზების აღდგენაზე უკვე დახარჯულია (6,462,476 აშშ დოლარი). ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია ის მიმდინარე სამუშაოები, რომლებიც ამ წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ამრიგად, როგორც ირკვევა BTC კომპანიის მონაცემებით, გზების აღგენების ვალდებულება თითქმის შესრულებულია და დარჩენილია ის მონაკვეთები, სადაც მშენებლობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სამუშაო ჯგუფისთვის უცნობია აპირებს თუ არა BTC კომპანია შესრულებული სამუშაოების გარდა გზების დამატებით დაზიანებული მონაკვეთების აღდგენას. მოსახლეობის აზრით, მან უნდა განახორციელოს გზების სრული აღდგენა-რეკონსტრუქცია პირვანდელ მდგომარეობამდე მაინც, რადგან მათი მდგომარეობა მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა გაუარესებულია და მოითხოვს შეკეთებას. უმჯობესია სამუშაო ჯგუფის და მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით განხორციელდეს გზების მდგომარეობის ხელახლი შესწავლა და დადგინდეს გზების ის მონაკვეთები, რომლებიც ნამდვილად დაზიანდა მძიმე ტექნიკის მოძრაობის შედეგად. ამ სამუშაობის გატარებით BTC კომპანია მინიმუმადე შეამცირებს მოსახლეობის უკმაყოფილებას და მნიშვნელოვნად გაზრდის თავის პრესტიჟს აღნიშნულ რეგიონებში.

რაც შეეხება ყველაზე დაზიანებულ გზის მონაკვეთს: -ვალე-ახალციხე, AGT Project Road Repair Information Georgia IPMT დოკუმენტის მიხედვით, ვალეში გზების აღდგენა გათვალისწინებულია 2005 წელს (ზუსტი თარიღი არ არის მითითებული), მაგრამ სამუშაო ჯგუფის დაკვირვებებით, ეს სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა. დოკუმენტში აგრეთვე არ არის აღნიშნული თუ გზის რა მონაკვეთის აღდგენაა დაგეგმილი.



**KP 93+808 - წალკისაკენ მიმავალი წალკა-თეთრიწყაროს  
ძირითადი გზის ზოგადი სურათი**

**შერჩეულ რეგიონებში გამოკითხული მოსახლეობის აზრი:**

გამოკითხული სოფლების მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მათი სოფლის მისასვლელი (ძირითადი) და შიდა გზების 58% იყო საშუალო მდგომარეობაში (დამაკმაყოფილებელ), ხოლო 23% იყო ცუდ მდგომარეობაში და 1% იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში. მხოლოდ მისახლეობის მცირე ნაწილი აღნიშნავდა მშენებლობის დაწყებამდე გზების კარგ მდგომარეობას -17,5%.

გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა აღნიშნავს, რომ მშენებლობის დაწყების შემდეგ გზების მდგომარეობა მშენებლობის დაწყებიდან გამოკითხვის პერიოდამდე გაუარესდა - 40%, მკვეთრად გაუარესდა - 35%. გამოკითხული მოსახლეობის 14% აღნიშნავს, რომ გზების მდგომარეობა იგივეა, ხოლო 11% აღნიშნავს, რომ გზების მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

**გალდებულება**

ინფრასტრუქტურის და მომსახურების მართვის გეგმა, მე-15 თავი საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ, მუხლი 15.1, საზოგადოებასთან ურთიერთოებების პროცედურები, ადგენს:

**წინასწარ განისაზღვროს პოტენციური ინფრასტრუქტურა.... საკითხები და ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სამშენებლო ჯგუფებს**

ინფრასტრუქტურის და მომსახურების მართვის გეგმა, მე-15 თავი საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ, მუხლი 15.2, საჩივრების მართვის მექანიზმი, ადგენს:

ადგილობრივი მოსახლეობის უკეთესობის უკეთესობის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ოფიციალური, სათანადო ზომების მიღება და მომჩივანისათვის შედეგის შეტყობინება; კონტრაქტორის მიერ საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურების მიღება ( ე.ი. BTC კომპანიის მიერ დადგენილი საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურის საფუძველზე)

ეს პროცედურები გამოყენებული იქნება უკეთესობის საჩივრებთან მიმართებით მიღლასედენის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებიდან.

“გარემოს დაცვის და სოციალურ გალდებულებათა ზოგადი რეესტრი”, BTC კომპანია- საქართველო (O29 #31 გვ. 32), ადგენს:

კონტრაქტორი გალდებულია შეაკეთოს უკეთეს გზა, ისე რომ ისინი იყენები, უკეთეს მცირე, პირვანდელი სტანდარტებთან შესაბამისობაში, სათანადო მასალების გამოყენების მეშვეობით, როგორც გათვალისწინებულია წინა-სამშენებლო შესწავლის დროს

“გარემოს დაცვის და სოციალურ გალდებულებათა ზოგადი რეესტრი”, BTC კომპანია- საქართველო, ტრანსპორტის მართვის გეგმა (03) ადგენს, რომ:

გარდა ამისა კონტრაქტორი ორგანიზაცია გალდებულია შეინარჩუნოს გზები და ხიდები რაციონალურ სტანდარტამდე იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ხდება მათი მშენებლობისთვის გამოყენება.

BTC კომპანია განახორციელებს გზებისა და ხიდების შეკეთების მონიტორინგს. საზოგადოებასთან ურთიერთობის მფიცერი განიხილავს სამშენებლო კომპანიასთან და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ უკეთესობას.

## მიგნება

მიუხედავად იმისა, რომ BTC-ის მიერ მოწოდებული დოკუმენტის თანახმად, AGT Project Road Repair Information Georgia IPMT, სადაც სოფლების და რაიონების მიხედვით აღნიშნულია დაგეგმილი სამუშაო პერიოდი და გზების აღდგენაზე დახარჯული მთლიანი თანხა, მოსახლეობის აზრის თანახმად, გზების მდგომარეობა კვლავ მძიმეა და მისი გაუმჯობესების შემთხვევათა რიცხვი ძალიან მცირეა.

## **რეკომენდაცია**

ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების თანახმად, კონტრაქტორი ვალდებულია დათქმულ ვადებში აღადგინოს მძიმე ტექნიკის შედეგად დაზიანებული გზები.

უმჯობესია ვალდებულების შესრულება ამ მონაკვეთთან დაკავშირებით განხორციელდეს ზაფხულის პერიოდში, რადგან შემოდგომა –ზამთრის დადგომა, კლიმატური პირობების გამო, შეაფერხებს დაგეგმილ სამუშაოებს, რამაც შეიძლება მათი მომავალი წლისათვის გადადება გამოიწვიოს. ეს გარემოება კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზრდის მოსახლეობის უკმაყოფილებას.

### **3.3.2. ბ) ხიდების მდგომარეობასთან დაკავშირებული დარღვევა**

#### **დაკვირვება**

სამუშაო ჯგუფის დაკვირვებების შედეგები:

სამუშაო ჯგუფის წევრებმა, რეგიონებში მონიტორინგის ჩატარებისას შეისწავლეს შემდეგი ხიდების მდგომარეობა:

1. ვალეს ხიდი (არა ძირითადი გზის)
2. ციხისჯვარის ხიდები (სოფლის შიგნით მდებარე)
3. ჭივჭავის ხიდი (თეთრიწყარო ჭივჭავის გზაზე)
4. აწყურის ხიდი და სხვა მცირე ზომის, სოფლების შიგნით მდებარე ხიდები.

სამუშაო ჯგუფის დაკვირვებით, ხიდების მდგომარეობა უმეტეს რეგიონებში დამაკმაყოფილებელია და მოითხოვს, მხოლოდ მცირეოდენ ფრაგმენტულ შეკეთებას. მაგალითად დათვალიერებულ იქნა აწყურის ხიდი, რომელიც აღდგენილია კონტრაქტორის მიერ, და იგი ასევე აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში. გამონაკლისს წარმოადგენს, მხოლოდ ციხისჯვარში მდებარე ერთ-ერთი ხიდი, რომელიც BTC კომპანიამ სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე შეაკეთა და რომელიც, ამა წლის გაზაფხულს ხანგრძლივი წვიმების შედეგად, მოვარდნილი წყლით დაზიანდა.

გამოკითხული მოსახლეობის აზრით ხიდების მდგომარეობა აღნიშნულ სოფლებში მშენებლობის დაწყებამდე იყო საშუალო მდგომარეობაში - 52%, კარგ მდგომარეობაში - 27,5%, ხოლო ცუდ მდგომარეობაში - 19% და ძალიან ცუდ მდგომარეობაში - 1%-ზე მეტი.

მოსახლეობის აზრის გამოკითხვის შედეგები ხიდების მდგომარეობის შეფასებისას რეგიონალურ ჭრილში:

ხიდების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებისას, მათი მშენებლობის დროს გამოყენების შედეგად, გამოვლინდა რეგიონებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება (კონკორდაციის კოეფიციენტი  $0,585$   $p=0$ )

- გარდაბნის რაიონში მოსახლეობის 57% აზრით, ხიდების მდგომარეობა მშენებლობის დაწყების შემდეგ გაუარესდა, 38% კი მიიჩნევს, რომ იგივე დარჩა.
- თეთრიწყაროს რაიონში 33% თვლის, რომ იგივე დარჩა, 37% თვლის რომ გაუარესდა და 30% ფიქრობს, რომ მკვეთრად გაუარესდა.
- ბორჯომის რაიონში 67% თვლის, რომ ხიდების მდგომარეობა გაუმჯობესდა.
- ახალციხის რაიონში 41% თვლის, რომ იგივე დარჩა ხოლო 28% თვლის, რომ გაუმჯობესდა.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, გარდაბნის და თეთრიწყაროს რაიონებში, განსხვავებით ბორჯომის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისა, ხიდების მდგომარეობის გაუმჯობესება არ მომხდარა, თუმცა ადგილი ჰქონდა ამ ხიდების მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენებას, რამაც ნაწილობრივ მათი დაზიანება გამოიწვია.

## ვალდებულება

BTC კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის – “გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებათა ზოგადი რეესტრი” (029 №31 გვ.32) – მიხედვით:

გების შეკეთება - კონტრაქტორი ორგანიზაცია ვალდებულია შეაკეთოს გები, ყველაზე ძირი, იმ მდგომარეობამდე როგორშიც ისინი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე იყვნენ, შესაბამისი მასალების გამოყენებით.

კონტრაქტორი ორგანიზაცია ვალდებულია შეინარჩუნოს გები და ხიდები რაციონალურ სტანდარტამდე იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ხდება მათი მშენებლობისთვის გამოყენება

## მიგნება

გამოკითხული მოსახლეობისა და მმართველობითი ორგანოების აზრის თანახმად, BTC-იმ შეაკეთა იმ ხიდების ნაწილი, რომელთა გამოყენებას მშენებლობის ფარგლებში აპირებდა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თვლის, რომ, ზოგიერთ რეგიონში, ხიდების

მდგომარეობა, დროის ამ მონაკვეთისათვის, კვლავ გაუარესებულია და საჭიროებს ხელახალ შეკეთებას.

## რეკომენდაცია

სამუშაო ჯგუფის აზრით, უნდა განხორციელდეს ხიდების მდგომარეობის ხელახალი შესწავლა, წინასწარ შესწავლასთან მიმართებაში, და დაზიანების გამოვლენის შემთხვევაში - მათი შეკეთება, რათა თავიდან იყოს აცილებული ხიდების ამორტიზაციით გამოწვეული ინცინდენტები და უბედური შემთხვევები (უმრავლესობა აღნიშნული ხიდებისა არის ძველი და მშენებლობის დაწყებამდე დიდი დროის მანძილზე არ შეკეთებულა).

### 3.3.2. გ) მოსახლეობის ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმირებულობის საკითხებთან დაკავშირებული დარღვევა

#### დაკვირვება

მოსახლეობის ინფორმაციით, იმ შემთხვევებში თუ მოხდა გზების და ხიდების დაზიანება, მოსახლეობის 27% ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ კომპანია მომავალში აპირებს მათ შეკეთებას, ხოლო 1% ფიქრობს, რომ ამ სამუშაოს სახელმწიფო შეასრულებს. 1% თვლის, რომ კომპანია და სახელმწიფო ერთად აღადგენს გზებს და ხიდებს. მოსახლეობის 30% ინფორმირებულია, რომ არც კომპანია და არც სახელმწიფო მათ რეგიონში აღარ აპირებს გზების და ხიდების შეკეთებას. ხოლო 41 %-ს არ გააჩნია მომავლში გზების და ხიდების შეკეთების შესახებ არანაირი ინფორმაცია.

გარდა ამისა სამუშაო ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი იყო, შეესწავლა შემდეგი საკითხი: ჩატარა თუ არა კომპანიამ ან შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურამ გზების და ხიდების შესწავლა ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებამდე და ინფორმირებულია თუ არა მოსახლეობა აღნიშნული (იგულისხმება წინა-სამშენებლო შესწავლა) შესწავლის შესახებ. გამოკითხული მოსახლეობის 15% თვლის, რომ ასეთი შესწავლა არ ჩატარებულა, ხოლო 66%-მა არ იცის ასეთი შესწავლის ჩატარების შესახებ. რესპონდენტთა მხოლოდ 19%-მა იცოდა გზების და ხიდების მდგომარეობის წინასწარი შეფასების შესახებ.

#### ვალდებულება

სატრანსპორტო საშუალებების მართვის გეგმის თანახმად  
(ვალდებულებათა რეკსტრი-ოვ):

სამშენებლო კონტრაქტორი ორგანიზაცია ვალდებულია  
 წარმოადგინოს დოკუმენტაცია უველა იმ გზისა და ხიდის  
 თავდაპირველი მდგომარეობის შესახებ, რომელთა გამოყენებაც  
 მოხდება მშენებლობის პროცესში. ამ დოკუმენტაციამ უნდა მოიცვას  
 ფოტოსურათები და მჯდორო თანამშრომლობის შედეგად წინასწარ  
 უნდა იქნას შეთანხმებული მოსახლეობასა და რაიონულ  
 ხელმძღვანელობასთან გზების და ხიდების არსებული მდგომარეობის  
 შენარჩუნებას გააკონტროლებს BTC კომპანია. რაიონებში  
 სახოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცირები იმუშავებენ  
 სამშენებლო კომპანიისა და მისი კონტრაქტორების მუშაობასთან  
 დაკავშირებული უველა უკმაყოფილების მოსაგვარებლად.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმა (თავი 9.1.2.), ადგენს:

აღიარებულია, რომ იქნება მოსახლეობასთან კავშირის საქმიანობის  
 განხორციელების და პროექტის მრავალფეროვანი  
 საკითხების/პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის  
 აუცილებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნება პროექტის  
 ზეავლების ხვეროში მოსახლეობის და ხევა მხარეებისათვის  
 ადგენატური და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება. ეს  
 ხვეროები მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება,  
 “ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და მოსახურება” ნებისმიერი  
 დადგებილი და დაუგეგმვი ხელის შემლით მოსახლეობისათვის.

## მიზნება

დაკვირვების შედეგად სამუშაო ჯგუფმა გაარცია, რომ გამოკითხული  
 სოფლების მოსახლეობა არ არის სრულად ინფორმირებული  
 ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მთელი რიგი პროცედურების და  
 საკითხების შესახებ, როგორიცაა:

1. გზის რა მონაკვეთები დაზიანდა მშენებლობის შედეგად
2. აპირებს თუ არა კომპანია გზების და ხიდების შეკეთებას  
 მოცემულ რეგიონებში
3. რომელი დაზიანებული მონაკვეთების შეკეთებას აპირებს კომპანია
4. რომელი დაზიანებული მონაკვეთები უკვე შეაკეთა კომპანიამ
5. კომპანიის ვალდებულების შესახებ - მშენებლობის დაწყებამდე  
 განეხორციელებინა ყველა იმ გზების და ხიდების წინასწარი  
 მდგომარეობის შესწავლა-შეფასება, რომელთა გამოყენებასაც  
 აპირებდა მშენებლობის მიზნებისათვის.

მიუხედავად კონტრაქტორის ზემოთ აღნიშნული ვალდებულებისა  
 (ვალდებულებათა რეესტრი O3) სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლით  
 რეგიონებში მოსახლეობას არ მიუღია მონაწილეობა გზების და  
 ხიდების პირვანდელი მდგომარეობის შეფასების პროცესში და ის არ  
 ფლობს საკმარის ინფორმაციას ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე.

## **რეკომენდაცია**

მიუხედავად იმისა, რომ BTC კომპანიამ გამოიყენა მრავალ ქვეყანაში აპრობირებული, მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის განკუთვნილი მექანიზმები, კერძოდ: მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრები, ცალკეულ პირებთან და სოფლის ავტორიტეტებთან საუბარი, ყოველ სოფელში და რეგიონში ბილბორდების დაყენება და პოსტერების გაკვრა და ასევე ადგილობრივ პრესაში განცხადებების გამოქვეყნება, აღნიშნული ქმედებები არ აღმოჩნდა საქმარისი და შესაბამისად მორგებული რეგიონების მოსახლეობის მოლოდინთან (რომლებიც მშენებლობის დაწყებამდე ძალიან მაღალი იყო) და ინფორმირებულობის დონესთან. აქედან გამომდინარე, BTC კომპანიის მიერ უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების და მისთვის ამ ინფორმაციის ადაფტირების მექანიზმები, ასევე უნდა განხორციელდეს მოსახლეობისათვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება.

იმ რეგიონებში, სადაც BTC კომპანია გეგმავს გზების და ხიდების აღდგენას, დროული და ადექვატური ინფორმაციის მიწოდება შეამცირებს უარყოფითი მოლოდინის დონეს და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა მშენებლობის მიმართ ნაკლებად სენსიტიური იქნება.

### **3.3.2. დ) საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემებთან დაკავშირებული დარღვევა**

გარდა ყოველივე აღნიშნულისა სამუშაო ჯგუფის მიერ დაფიქსირდა ისეთი საკითხებიც, რომლებიც პირდაპირი გამოკითხვის შედეგად არაა მიღებული, მაგრამ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით შესულია მოცემულ ანგარიშში. ბუნებრივია, რომ თითოეული სოფლის დონეზე ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ყველა საჩივარს მოცემულ ანგარიშში ვერ განვიხილავთ, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ შეგვერჩია გამოკითხული 8 სოფლიდან 2 და წარმოგვედგინა ყველაზე მწვავე, აქტუალური და ხანგრძლივი დროის მანძილზე გადაუჭრელი პრობლემები.

### **დაკვირვება**

სამუშაო ჯგუფის მიერ გარდაბნის რაიონის სოფ. ახალი სამგორის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვნად დაზიანდა საირიგაციო და სასმელი წყლის მიღსადენები, რის გამოც სოფლის მოსახლეობას არ შეუძლია სავარგულების მორწყვა და შესაბამისად მოსავლის აღება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი სამგორის მოსახლეობა მოითხოვს როგორც დაკარგული მოსავლის კომპენსაციას, ასევე საირიგაციო და სასმელი წყლის მიღსადენების სარეაბილიტაციო

სამუშაოების ჩატარებას. მოსახლეობის ინფორმაციით, ეს სამუშაოები დღემდე არ ჩატარებულა.

სამუშაო ჯგუფის მიერ ადნიშნული პრობლემის სიდრმისეულად შესასწავლად BTC კომპანიისაგან მოთხოვნილ იქნა საჩივრების რეესტრი აღნიშნულ სოფელთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა მოსახლეობის ის საჩივრები, რომლებიც უკავშირდება საირიგაციო და სასმელი წყლის მილსადენების დაზიანებას. მოცემული საჩივრები დაფიქსირებულია “მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის” მოსახლეობასთან მუშაობის შედეგად. (Log # -BTC 54/APLR 330, 21-04-2004; Log # BTC ). ორივე საჩივარი გადაცემულია BTC კომპანიისთვის გამოძიების მიზნით)

## ვალდებულება

გარემოს დაცვისა და სოციალური ვალდებულებების ზოგადი რეესტრის, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა (N41 (R94) (add)), თანახმად:

მიღებადებულების მშენებლობის დროს მოხდება საირიგაციო არხებზე დარების მოწყობა, ისე რომ ისინი მიღების გავლით გაედინებიან სარბენი ბილიკის ქვეშ. უფრო დიდი ზომის საირიგაციო არხები გაზარდება მიღებადების არხის ქვეშ, და არა თხრილის გათხრით არხის გავლით, ან თუ საჭიროა, წყალი ამოიტუმბება სარბენი ბილიკის ზემოთ. თანამშრომლები რაიონებში საზოგადოებასთან ურთიერთობის საჭირებებში იქნებიან სოფლის მოცხოვრებლებთან მუდმივ კავშირები, და გაუწევენ მონიტორინგს, იმისათვის რომ დარწმუნდებენ უარყოფითი ზემოქმედების არ არსებობაში. თუ ზემოქმედებას ადგილი ექნება, მაშინ მიღება მაკორეუქტირებელი ზომები, რომლებიც მოიცავს საჭიროებისამებრ წყლის მისაწვდომების ალტერნატიული საშუალებების გაკეთებას.

გარემოს დაცვისა და სოციალური ვალდებულებების ზოგადი რეესტრის, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა (N14 (P28)(Z4), თანახმად:

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, მომსახურება და ბუნებრივი რესურსები, წყლი: ადგილობრივი მოსახლეობის წყლის საცავებისათვის მიუწებული ზიანი – განხორციელდება ნალექიანობის მაქონტროლებელი ღონისძიებები უველა მდინარის გადაკვეთაზე, საიდანაც ხდება წყლის მარაგის მიღება; და სადაც სასმელი წყლის მარაგის მისაწვდომობა შეფერხებულია მშენებლობის შედეგად, უნდა მოხდეს წყლის მარაგის ალტერნატიული გზით მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების შეწყვეტის მოედნის პერიოდის განმავლობაში.

გარემოს დაცვისა და სოციალური ვალდებულებების ზოგადი რეესტრის, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა, N3, თანახმად:

ქონების დაზიანების და მიწის შესყიდვის საკითხები - ინფრასტრუქტურა: სახლები და სხვა ნაგებობები, ღობები, საირიგაციო არხები, და სხვა - იქ სადაც ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება, გაიცემა სრული ფულადი ანაზღაურება (მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად) ან შემცვლელი სტუქტურები/მოწყობილობები იქნება უზრუნველყოფილო.

ინფრასტრუქტურის და მომსახურების მართვის გეგმა, №23 (დამატებითი)

ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა ან მომსახურების გაუთვალისწინებლად შეფერხება-შეწყვეტისას, დაზარალებული თემების წარმომადგენლები შეტყობინებული იქნებიან ამ შეწყვეტის მიზეზების შესახებ და კონტრაქტორი, მომსახურების მფლობელთან ერთად, მდუშავებს სარემონტო სამუშაოების შეძლებისდაგვარად უმჯკლებ დროში განხორციელებისათვის. ერთი დღის ვადაში ინფორმაცია მოცემული შეფერხების დეტალების, (საჭიროებისამებრ) ალტერნატიული საშუალებების და ამ შეფერხების შედეგად წარმოქმნილი ზარალის შეფასებისათვის საჭირო სხვა ნებისმიერი ზომების თაობაზე, წერილობითი ფორმით, იქნება მიწოდებული სოფლის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან რაიონული ცენტრისათვის.

## მიგნება

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ვალდებულებებისა, სამუშაო ჯგუფის მიერ მონახულებულ სოფელში, როგორც არსებული სიტუაციიდან ჩანს, ამ ხნის მანძილზე კონტრაქტორის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა და არც კომპენსაციები გაცემულა, რის გამოც სოფლის მოსახლეობა კვლავ გამოიკვამს უკმაყოფილებას და იმუქრება გაფიცვებით. გარდა ამისა მოსახლეობა არ არის ინფორმირებული იმის შესახებ აპირებს თუ არა საერთოდ კომპანია მათი ზარალის ანაზღაურებას.

## რეკომენდაცია

ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების თანახმად, BTC კომპანიამ უნდა შეამოწმოს საჩივრები დროულად და იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი, შეაფასოს და გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია. აღნიშნულ სოფელში მიღსადების მშენებლობა უკვე დასრულდა და მოსახლეობა ფიქრობს, რომ მათი პრობლემები აღარ გადაიჭრება. უმჯობესია BTC კომპანიამ გამოიჩინოს კეთილი ნება და მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია მოსახლეობას თავისი ვალდებულებების შესახებ, კერძოდ: იმ შემთხვევაში თუ საირიგაციო სისტემების დაზიანება გამოწვეულია მშენებლობის აქტივობით, კონტრაქტორი ყოველთვის ასრულებს ვალდებულებებს და მშენებლობის დასრულებამდე აანაზღაურებს ზარალს.

### **3.3.2. յ) - სასმელი წყლის სისტემის დაზიანება სოფელ ციხისჯარში**

#### **დაკვირვება**

სოფელ ციხისჯარში, სამუშაო ჯგუფის მიერ, კითხვარში აღნიშნული საკითხების გარდა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ მიღებული იყო შემდეგი დამატებითი ინფორმაცია: სოფლის მოსახლეობის ნაწილი უჩივის მშენებლობის შედეგად, იმ ქუჩებზე სადაც მოძრაობდა მძიმე ტექნიკა, გზის ქვეშ გამავალი სასმელი წყლის მიღების დაზიანებას (ლენინის და პუშკინის ქუჩები). სოფლის დანარჩენი უბნებისათვის წყლის მიწოდება არ შეფერხებულა და წყალი ჩვეულებრივ მოიხმარება სოფლის მაცხოვრებლების მიერ, უფრო მეტიც, შარშან, 2004 წელს, CIP პროექტის ფარგლებში, მოსახლეობის პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია CARE-ის მიერ განხორციელდა წყლის შემაგროვებელი აუზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგადაც სოფლის წყალმომარაგების სისტემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მოსახლეობის აზრით, რომ არა აღნიშნულ ქუჩებზე მძიმე ტექნიკის მოძრაობა, რის შედეგადაც სახლებში შემავალი მიღები ჩაიდუნა და დაზიანდა, მათაც არ უქნებოდათ წყალმომარაგებასთან დაკავშირებული არანაირი პრობლემები.

ზემოთ აღნიშნულ ქუჩებზე მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვის შედაგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, სოფლის გამგებელმა ორჯერ მიმართა BTC კომპანიას (Log No. – bTC203,22-09-2004; Log No – BTC 295, 26-11-2004) და მის კონტრაქტორებს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ ჯერჯერობით კომპანიისაგან არანაირი პასუხი არ მიუღია. მოსახლეობის მონაცემებით, თუ კომპანია არ შეასრულებს აღდგენით სამუშაოებს, სოფლის მოსახლეობა გაზისადენის მშენებლობის ბლოკირებას აპირებს. სამუშაო ჯგუფის მიერ პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისათვის BTC კომპანიისაგან მოთხოვნილ იქნა საჩივრების რეესტრი აღნიშნულ სოფელთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა მოსახლეობის ის საჩივრები, რომლებიც უკავშირდება სასმელი წყლის მიღსადენების დაზიანებას. საჩივრების რეესტრში აღნიშნული იყო, რომ ორივე საჩივრი დახურული იყო კომპანიის მიერ, მაგრამ რეესტრში არ იყო ინფორმაცია კომპანიის მიერ საპასუხოდ მიღებულ ზომებზე.

#### **ვალდებულება**

“გარემოს დაცვისა და სოციალური ვალდებულებების ზოგადი რეესტრის”, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა (N14 (P28)(Z4), თანახმად:

**აღგილობრივი ინფრასტრუქტურა, მომხახურება და ბუნებრივი რესურსები, წყალი: აღგილობრივი მოსახლეობის წყლის საცავებისათვის მიყენებული ზიანი – განხორციელდეს ნალექიანობის**

მაკონტროლებელი ღონისძიებები უველა მდინარის გადაკვეთაზე, საიდანაც ხდება წყლის მარაგის მიღება; და სადაც სასმელი წყლის მარაგის მისაწვდომობა შეფერხებულია მშენებლობის შედეგად, უნდა მოხდეს წყლის მარაგის აღტერნატიული გზით მიწოდება ადგილობრივი მოსახლებისათვის წყლის მიწოდების შეწყვეტის მთელი პერიოდის განმავლობაში.

“გარემოს დაცვისა და სოციალური ვალდებულებების ზოგადი რეესტრის”, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა, N3, თანახმად:

ქონების დაზიანების და მიწის შესყიდვის საკითხები - ინფრასტრუქტურა: სახლები და სხვა ნაგებობები, ღობებები, საირიგაციო არხები და სხვა – იქ სადაც ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება, გაიცემა სრული ფულადი ანაზღაურება (მხოლოდ ბანკის მოთხოვნების შესაბამისად) ან შემცვლელი სტრუქტურები/მოწყობილობები იქნება უზრუნველყოფილი.

## მიზნება

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ვალდებულებებისა სამუშაო ჯგუფის მიერ მონახულებულ სოფელში, ციხისჯვარში, ნათლად ჩანს, რომ ამ ხნის მანძილზე კონტრაქტორის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება არ დაწყებულა და არ მომხდარა მიუენებული ზიანის კომპენსაციაც, რის გამოც სოფლის მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას და გაფიცვით იმუქრება. გარდა ამისა მოსახლეობა არ არის ინფორმირებული იმის შესახებ აპირებს თუ არა საერთოდ კომპანია მათი ზარალის ანაზღაურებას.

## რეკომენდაცია

ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების თანახმად, BTC კომპანიამ უნდა შეამოწმოს საჩივრები, შეაფაროს მოსახლეობისთვის მიუენებული ზარალი და თუ ეს ზარალი მძიმე ტექნიკის მოძრაობის შედეგად არის მიუენებული, გადაიხდოს შესაბამისი კომპენსაცია.

გარდა ამისა, ვინაიდან BTC კომპანიისადმი მიწოდებული საჩივარი გამგებელმა მთელი სოფლის სახელით წარადგინა, უმჯობესია, BTC კომპანიამ განუმარტოს მას, რომ BTC კომპანიიდან ნებისმიერი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოსახლეობას, რათა თავიდან იქნას აცილებული მაცხოვებელთა არასრული ინფორმირება.

## 4. დასპენები და რემიტინგი

### დასაქმება და შრომითი უფლებების დაცვა

“ნავთობსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივის” პროექტის ფარგლებში ჯგუფმა მიღსადენის გასწვრივ მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან პირადი ინტერვიუების გზით მიიღო ინფორმაცია ადილობრივ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვისა და მათი დასაქმების გარანტიებთან დაკავშირებით. ამ საკითხებზე მტკიცებულებების მოპოვება და მათი დეტალური შესწავლა ვერ მოესწრო დროის სიმცირის გამო. მაგრამ მონიტორინგის შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანია შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

- ადგილობრივ დასაქმებულთა თითოვიანი ხელშეკრულებით დაქირავება (თანამდებობის მიუხედავად);
- ხელფასების სავარაუდო დაგვიანება;
- ვარაუდი ადგილობრივ არაკვალიფიციურ დასაქმებულთა უხარისხო კვების თაობაზე;
- სამუშაოზე აყვანისა და დათხოვნის პროცესის გამჭვირვალობის დონე;
- ვარაუდი დასაქმებისას ადგილობრივ კვალიფიციურ კადრებთან შედარებით ექსპატრიატოათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ;
- ადგილობრივ დასაქმებულთათვის საშვებულებო თანხების გადაუხდელობასთან დაკავშირებული სავარაუდო დარღვევები;
- საჩივრების მოგვარების მექანიზმებთან დაკავშირებული საგარაუდო პრობლემები.

მონიტორინგით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში დასაქმების სამუშაო ჯგუფისათვის არ იქნა შესაძლებელი BTC კომპანიის მიერ საჭირო მასალების სრულყოფილად მოწოდება, რათა მონიტორინგის შედეგად შესაძლებელი ყოფილიყო დაგვეგინა, შესრულდა თუ არა BTC კომპანიის ვალდებულება ნავთობსადენზე ადილობრივ დასაქმებულთა 50-80%-ს ფარგლებში დასაქმების თაობაზე.

### რეკომენდაცია

აუდიტის ჯგუფი იმედოვნებს, რომ BTC კომპანია გამოაქვეყნებს ინფორმაციას:

- ადგილობრივ დასაქმებულ პირთა მთლიანი რაოდენობის შესახებ;
- საქართველოს ბიუჯეტში გადასახადების სახით შეტანილი შემოსავლის ოდენობის შესახებ;
- არაპირდაპირი დასაქმების გზით ადგილობრივ ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

სამუშაო ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს ორცვლიანი სამუშაო დღის შემოღებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდას და ამასთანავე შეამცირებს ზეგანაკვეური სამუშაო საათების რაოდენობას.

მონიტორინგის ამ ეტაპზე წარმოდგენილი დასაქმების ანგარიშის საფუძველზე, რომელიც შესაბამის მტკიცებულებებსა და ვალდებულებებზეა დამყარებული, BTC კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მისი ყველა კონტრაქტორი და ქვეპონტრაქტორი კომპანიების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულება.

ვფიქრობთ, რომ BTC კომპანიის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ მიგნებებთან დაკავშირებით შემუშავებულ რეკომენდაციებს მათი საქმიანობის ეფექტური რეალიზებისათვის და შესაბამის ზომებს გაატარებს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

## მიწის საკითხები

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ BTC კომპანია წინასწარ შემუშავებული დოკუმენტების („განსახლების სამოქმედო გეგმა”, „მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო”, „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება”, „სამთავრობათაშორისო შეთანხმება” და ა. შ.) საფუძველზე ითვალისწინებდა და უშვებდა პროექტის განხორციელებით გამოწვეულ როგორც უარყოფითი, აგრეთვე დადებითი ზეგავლენის ალბათობას, ცხადია, რომ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გაუთვალისწინებელი პრობლემები წარმოიშვა. ეს საკითხებია: საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის შესყიდვა, კომპენსაცია, ინვენტარიზაციის პროცესი, „ნარჩენი” მიწის განსაზღვრა, მოსახლეობის ინფორმირებულობა და გასაჩივრების მექანიზმი, საჩივრების მოგვარების გზები და საშუალებები.

როგორც აღინიშნა, BTC კომპანიას შესაბამისი დოკუმენტებით ნაკისრი პქონდა ვალდებულებები ზემოთაღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ ადგილი პქონდა დარღვევებს, რომლებიც მოცემულია მიწის საკითხების ქვეთავში.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია მიღებულია როგორც მოსახლეობის მხრიდან ასევე დოკუმენტებიდან, რომლებიც ემყარება შესაბამის მტკიცებულებებსა და ვალდებულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის პროცესი უკვე დასრულებულია. პროექტის ფარგლებში გავრცელებული “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს” (ქვეთავი კერძო მიწით სარგებლობის განახლება; გვ. 6) თანახმად, მშენებლობის დასრულების შემდგომ მიწის თავდაპირველ მესაკუთრეებსა და მოსარგებლებს გარკვეული შეზღუდვებით უნდა დაუბრუნდეთ მიწის ნაგეოგბი სარგებლობის უფლებით.

## რეკომენდაცია

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის მშენებლობის პროცესი უკვე დასრულებულია. პროექტის ფარგლებში გავრცელებული “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს” თანახმად, მშენებლობის დასრულების შემდგომ, მიწის თავდაპირველ მესაკუთრეულსა და მოსარგებლებს გარკეული შეზღუდვებით უნდა დაუბრუნდეთ მიწის ნაკვეთები სარგებლობის უფლებით.

BTC კომპანიამ ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის განხორციელების დროს უნდა უზრუნველყოს მესაკუთრეული მოსარგებლების სრულყოფილი ინფორმირებულობა რაიონებში შესაბამისი ინფორმაციის შემცველი ბროშურების დროულად გავრცელებით.

## ინფრასტრუქტურა

სამუშაო ჯგუფმა პირდაპირი ინტერვიუების საფუძველზე გამოავლინა მთელი რიგი ყურადსაღები საკითხებისა, კერძოდ მოსახლეობა არ ფლობს ინფორმაციას კომპანიის გეგმების შესახებ მათი ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა:

- გ ზების მდგომარეობა – ზოგიერთ რეგიონში გზების მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი
- ხიდების მდგომარეობა – გამოკითხული მოსახლეობის ინფორმაციით, ხიდების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია
- მოსახლეობის იმფორმირებულობა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით - ინფორმირებულობის დონე ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაბალია.

მოსახლეობის 11% თვლის, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ გზების მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამ რესპონდენტების 65% თვლის, რომ გზებისა და ხიდების მდგომარეობის გაუმჯობესება გამოწვეულია BTC კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შედეგად და 9% კი თვლის, რომ გზების რეაბილიტაცია მხოლოდ მთავრობის დახმარებით განხორციელდა.

გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფმა მოსახლეობის მოთხოვნით ყურადღება გააძახვილა მნიშვნელოვნად მიჩნეულ საკითხებზე, კერძოდ:

- დაზიანებული საირიგაციო და სასმელი წყლის მიწოდების სისტემები სოფლებში ახალი სამგორი და ციხისჯვარი

მიუხედავად “გარემოს დაცვისა და სოციალურ ვალდებულებათა ზოგად რეესტრში” მოცემული ვალდებულებებისა, ამ ხნის მანძილზე კონტრაქტორის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა და არც კომპენსაციები გაცემულა, რის გამოც სოფლის მოსახლეობა კვლავ გამოთქმას უკმაყოფილებას და იმუქრება გაფიცვებით.

## **რეკომენდაცია**

სამუშაო ჯგუფის აზრით, უმჯობესია განხორციელდეს გზების დაზიანებული მონაკვეთების დამატებითი შესწავლა და მათი მდგომარეობის შეფასება, იმ მონაკვეთების ჩათვლით სადაც ეს დაზიანება BTC კომპანიის მძიმე ტექნიკის მოძრაობის შედეგად არის გამოწვეული. უნდა მოხდეს ამ მონაკვეთების აღდგენა (ზემოთ აღნიშნული ვალდებულების მიხედვით).

BTC კომპანიის მიერ უნდა გააუმჯობესდეს მოსახლეობისადმი ინფორმაციის მიწოდების მექანიზმები, ასევე უნდა განხორციელდეს მოსახლეობისათვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება. იმ რეგიონებში, სადაც BTC კომპანია გეგმავს გზების და ხიდების აღდგენას, დროული და ადექვატური ინფორმაციის მიწოდება შეამცირებს უარყოფითი მოლოდინის დონეს და პროექტის ზეგაველნის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა მშენებლობის მიმართ ნაკლებად სენსიტიური იქნება.

სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით, BTC კომპანიამ, ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების თანახმად, უნდა შეამოწმოს საჩივრები, შეაფასოს მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი და გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია.

## 5. მადლობა

ევრაზიის ფონდის მიერ შემუშავებულ PMDI –ის პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა და სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრები: ირაკლი დეკანოიძე, ნინო შიოშვილი, ქეთი დგებუაძე, ალექსანდრე შოშიკელაშვილი, მარიამ ბეგიაშვილი, თამარ ლვალაძე და ალექსანდრე ნოსელიძე მადლობას უხდიან შემდეგ პირებს და ორგანიზაციებს იმ დახმარებისათვის, ინფორმაციის მიწოდებისათვის და კონსულტაციებისათვის, რომლებითაც მათ უზრუნველყეს მონიტორინგის ჯგუფი პროექტის განხორციელების პროცესში:

- ევრაზიის ფონდის რეგიონალურ გიცე-პრეზიდენტს – ანდრეა ჰარისს,
- დირექტორს – ქეთევან ხუციშვილს,
- პროექტის კოორდინატორს – გიორგი ბაქრაძეს,
- პროექტის კონსულტანტს – სუზან ჩენონს,
- პროექტში მოწვეულ თარჯიმანს – თამარ ჩერქეზიშვილს.
- CRRC-ის ოფისს, დირექტორს ლევან თარენიშვილს და ევრაზიის ფონდის ოფისის თანამშრომლებს, მუშაობისათვის ოპტიმალური პირობების შექმნისათვის.
- მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტს – კლაივ მორგანს, რომელმაც შეასწავლა სამუშაო ჯგუფს მონიტორინგის და აუდიტის საფუძვლები და რომლის დიდი დახმარებით შესაძლებელი გახდა კვალიფიციური მონიტორინგის ჩატარება, ანგარიშის მომზადება და შედეგების ანალიზი.
- BCG-ის რაოდენობრივი კვლევის კოორდინატორს – რუსულან გელიძეს, ჩატარებული ტრეინინგისათვის.
- ფაუდ რასულოვს – ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ჯგუფის კოორდინატორს, აზერბაიჯანი
- ავას ჰასანოვს – ადამიანის უფლებების აუდიტის ჯგუფის წევრს, აზრებაიჯანი
- შამილ ჰუსეინოვიჩს – ეკოლოგიური აუდიტის ჯგუფის შემფასებელს, აზერბაიჯანი
- BTC კომპანიას და მის ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციებს სამუშაო პროცესში გაწეული კონსულტაციებისათვის, ინფორმაციის უზრუნველყოფისათვის და შეხვედრების ორგანიზებისათვის.

## **6. გამოყენებული ლიტერატურა**

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
2. საქართველოს კონსტიტუცია;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
4. საქართველოს შრომითი კოდექსი;
5. სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება;
6. ტერიტორიის მფლობელი ქაყანის მთავრობასთან დადგებული შეთანხმება;
7. განსახლების სამოქმედო გეგმა;
8. მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო
9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ”;
10. ინფრასტრუქტურის და მომსახურების მართვის გეგმა;
11. საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმა
12. ტრანსპორტის მოძრაობის სამოქმედო გეგმა;
13. AGT Project Road Repair Information Georgia IPMT;
14. წინა- სამშენებლო მდგომარეობის შესწავლის დოკუმენტი
15. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების ზოგადი რეესტრი BTC კომპანია (საქართველო)
16. ბოჭ მილსადენის მშენებლობის ინფრასტრუქტურისათვის დასაქმებისა და ტრეინინგის მენეჯმენტის გეგმა
17. ბოჭ-ს კონტრაქტორის საკონტროლო გეგმა, დასაქმება და სწავლება – საქართველო.

## 7 - დანართები

დანართი 2 - ადამიანი უფლებებისა და სოციალური საკითხების სამუშაო ჯგუფის წევრები:

**ალექსანდრე ნოსელიძე** – ჯგუფის კოორდინატორი, იურისტი. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი”.

სამუშაო ჯგუფის ექსპერტი მიწის საკითხებში

**მარიამ ბეგიაშვილი** – ჯგუფის კოორდინატორის მოადგილე, ფსიქოლოგი. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური კვლევების ინსტიტუტი”. სამუშაო ჯგუფის ექსპერტი ინფრასტრუქტურის საკითხებში.

**თამარ დგალაძე** – ჯგუფის წევრი, იურისტი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”. სამუშაო ჯგუფის ექსპერტი მიწის საკითხებში.

**ქეთევან დგებუაძე** – ჯგუფის წევრი, ბიოლოგი. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური რეფორმების საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრი”. სამუშაო ჯგუფის ექსპერტი ინფრასტრუქტურის საკითხებში.

**ნინო შიოშვილი** – ჯგუფის წევრი, ეპონომისტი. არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშემწყობი ასოციაცია – „ამაგდარი”. სამუშაო ჯგუფის ექსპერტი დასაქმების საკითხებში

**ირაკლი დეკანოძე** – ჯგუფის წევრი, გეოლოგი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა სამთოგეოლოგთა და მენავთობეთა ასოციაცია”. სამუშაო ჯგუფის ექსპერტი დასაქმების საკითხებში

**ალექსი შოშიქელაშვილი** – ჯგუფის წევრი, იურისტი. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ქსელი“. სამუშაო ჯგუფის ექსპერტი მიწის საკითხებში.

## დანართი 1 - კითხვარი

კითხვარი# \_\_\_\_\_  
მიღებადენის მშენებლობის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა.

გამარჯობა, ჩემი სახელია \_\_\_\_\_ და მე წარმოვადგენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას ‘ევრაზიას’. ამ ფონდის ხელშეწყობით ხორციელდება პროექტი ‘წავთობსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივია’, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებას.აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფი ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვას. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა სრულად იქნება დაცული. თქვენი სოფელი და ოჯახი შემთხვევით მოხვდა შერჩევაში, თქვენი გვარი და სახელი დაფიქსირდება მხოლოდ თქვენი სურვილის შემთხვევაში. ყველა გამოკითხულს მიენიჭება კოდური ნომერი. მონაცემთა დამუშავება მოხდება გამოკითხულთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეჯერების შედეგად. გამოკითხვისას მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ განზოგადებული სახით.

### A. შესავალი კითხვები:

#### A.1 რეგიონი:

1. გარდაბანი
2. თეთრიწყარო
3. ბორჯომი
4. სამცხე-ჯავახეთი

#### A.2 სოფელი:

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_

**A.2.1**

1. უარი ინტერვიუზე	1	2	3	4	5	6	7	8
2. სახლში არავინ არ იყო	1	2	3	4	5	6	7	8
3. სასურველი რესპონდენტი სახლში არ იყო	1	2	3	4	5	6	7	8

**A.2.2 ინტერვიუერის კოდი \_\_\_\_\_**

**A.3 რესპონდენტის სქესი:**

1. მდედრობით
2. მამრობითი

**A.4 რესპონდენტის ასაკი: \_\_\_\_\_ (*ჩანაწერით ციფრულით*)**

**A.5 რესპონდენტის სახელი, გვარი \_\_\_\_\_  
(*მიუთითეთ მხოლოდ სურვილის შემთხვევაში!*)**

**A.6 რესპონდენტის ეროვნება**

1. ქართველი
2. აზერბაჯანელი
3. სომები
4. ბერძენი
5. ოსი
6. რუსი
- x. სხვა \_\_\_\_\_ (*მიუთითეთ*)

**A.7 რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ოჯახი? (*ივულისხმება კომლი*)**

1. ერთი
2. ორი
3. სამი
4. ოთხი
5. ხუთი ან ხუთზე მეტი

**A.8 სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობა \_\_\_\_\_  
(*შეავსეთ ნინასწარი მონაცემების მიხედვით*)**

**A.9 სოფელში იმ მიწის მესაკუთრეთა საერთო რაოდენობა რომელთაც მიღებადენი  
შეეხო \_\_\_\_\_  
(*შეავსეთ ნინასწარი მონაცემების მიხედვით*)**

**A.10 სოფელში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა \_\_\_\_\_  
(*შეავსეთ ნინასწარი მონაცემების მიხედვით,*)**

**Б. მიწის საკითხები:**

- B.1 ჩვენთვის ცნობილია, რომ მიღსადენმა გაიარა თქვენ სოფელთან ახლოს. მოხდა თუ არა თქვენს სოფელში კერძო ან სათემო მიწის შესყიდვა?

	დიახ	არა	არ ვიცი
კერძო	1.	2	99
სათემო	1.	2	99

თუ პასუხია დიახ:

- B.1.1 დაახლოებით, რამდენი მესაკუთრისგან მოხდა მიწის შესყიდვა? \_\_\_\_\_  
(მიუთითეთ რაოდენობა, თუ რესპონდენტი ვერ პასუხობს კითხვას - 999)

- B.1.2 რა ოდენობით სათემო მიწის? \_\_\_\_\_  
(ოდენობა მიუთითეთ ჰექტარებში, თუ არ მოხდა სათემო მიწის შესყიდვა-  
888, თუ რესპონდენტი ვერ პასუხობს კითხვას - 999)

- B.2 გაიარა თუ არა მიღსადენმა კონკრეტულად, თქვენს ან თქვენი ოჯახის წევრის კუთვნილ მიწაზე?

1. დიახ
2. არა->გადადიხართ C ბლოკზე

- B.3 განაცხადეთ თუ არა თანხმობა, რომ BTC-ის კომპანიის მიერ მომხდარიყო თქვენს საკუთრებაში მყოფი მიწის შესყიდვა?

1. დიახ
2. არა

- B.4 თუ მოხდა თქვენი მიწის შესყიდვა BTC-ის მიერ, კმაყოფილი ხართ თუ არა:

- B.4.1 მიწის ფართობის ერთ კვ/მეტრში შემოთავაზებული თანხის ოდენობით?

- B.4.2 თქვენს მიწაზე არსებული მრავალნლიანი/ერთნლიანი ნარგავების თითოეულ ერთეულზე შემოთავაზებული თანხის ოდენობით?

- B.4.3 თქვენს მიწაზე არსებული შენობა/ნაგებობების კომპენსაციის თანხის ოდენობით?

- B.4.4 თანხის გადახდის მექანიზმით?

- B.4.5. სხვა----- (მიუთითეთ, დამატებით რაიმე სახის კომპენსაცია ხომ არ მიგიღიათ)

	B.4.1	B.4.2	B.4.3	B.4.4	B.4.5
დიახ	1	1	1	1	1
არა	2	2	2	2	2

არ ეხება	9	9	9	9	9
----------	---	---	---	---	---

B.5 ინფორმირებული იყავით თუ არა მიწის მესაკუთრეთა უფლებათა დაცვის ასოციაციის მიერ:

B.5.1 მიწის შეძენის და კომპენსაციის პროცესის შესახებ

B.5.2 მიწასთან დაკავშირებული იურიდიული უფლებების (საკითხების) შესახებ

B.5.3. მიწასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხებზე, კერძოდ:

	B.5.1	B.5.2	B.5.3
დიახ	1	1	1
არა	2	2	2
არ ვიცი	3	3	3

B.6.1 თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება: თქვენს საკუთრებაში მყოფი მიწის (BTC-სადმი მიყიდული მიწის) რეალური ღირებულება მიწის კატეგორიების (მორწყვადი-არამორწყვადი, საბალე-საბოსტნე, სახნავ-სათესი, სათიბი, და ა.შ.) შეფასებათა ცხრილში მოცემულ მონაცემებს?

B.6.2 მიუღებელი მოსავლის (ოდენობის) რეალური ღირებულება შესაბამის შეფასებათა ცხრილში მოცემულ მონაცემებს?

B.6.3 მრავალწლიანი-ერთწლიანი ნარგავების (ოდენობის) რეალური ღირებულება შესაბამის შეფასებათა ცხრილში მოცემულ მონაცემებს?

B.6.4 შენობა-ნაგებობების რეალური ღირებულება შესაბამის შეფასებათა ცხრილში მოცემულ მონაცემებს?

	B.6.1	B.6.2	B.6.3	B.6.4
დიახ	1	1	1	1
არა	2	2	2	2
არ ვიცი/არ მინახავს ცხრილი	3	3	3	3
არ ეხება	4	4	4	4

B.6.5 მიიღეთ თუ არა მონაწილეობა თქვენ ან მიწის სხვა მესაკუთრემ მიუღებელი მოსავლის, ნარგავების და /ან შენობების შეფასებაში ?

1. დიახ
2. არა/ არ მქონდა წინასწარი ინფორმაცია
3. ვიცოდი მაგრამ არ დავესწარი პირადი მიზეზის გამო

B.6.6 მოაწერეთ თუ არა თქვენ ან მიწის სხვა მესაკუთრემ დოკუმენტს ხელი რომელიც ასახავს მიუღებელი მოსავლის, ნარგავების და /ან შენობების შეფასებას და რომელიც შემდგომში შეადგენს კომპენსაციის საფუძველს (საჭიროების შემთხვევაში წაუკითხეთ დახურვები)

1. დიახ
2. დიახ მაგრამ დოკუმენტის ასლი არ დამიტოვეს
3. არა/ არ მქონდა წინასწარი ინფორმაცია
4. არა, არ მოვაწერე ხელი პირადი მიზეზის გამო

B.7 მიიღეთ თუ არა წინასწარი შეტყობინება მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შესახებ?

1. დი ახ - მივიღე ზეპირი შეტყობინება
2. დიახ - მივიღე წერილობითი შეტყობინება
3. არა

**თუ პასუხია დიახ:**

B.7.1 რამდენი დღით ადრე, მოლაპარაკებების დაწყებამდე: \_\_\_\_\_  
(მიუთითეთ ციფრებით)

B.8 იცოდით თუ არა იმის შესახებ, რომ მიწის გაყიდვაზე (BTC კომპანიისადმი) თქვენი მტკიცე უარის შემთხვევაში, თქვენს საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთ(ების მშენებლობა გვერდს აუვლიდა ან მოხდებოდა მისი იძულებითი გაყიდვა საქართველოში არსებული კანონის გამოყენებით?

1. დიახ, ვიცოდი
2. არა, არ ვიცოდი

B.9 გაგისაჩივრებიათ თუ არა კომპანიაში ან სასამართლოში მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული სადაო საკითხები?

- 1.1. დიახ, გავასაჩივრე სასამართლოში
- 1.2. დიახ, გავასაჩივრე კომპანიაში
- 1.3. დიახ, გავასაჩივრე სასამართლოში და კომპანიაში
2. არა, არ მქონდა პრეტენზია
3. არა, გასაჩივრებას აზრი არ ჰქონდა
- x. სხვა \_\_\_\_\_ (მიუთითეთ)

**თუ პასუხია დიახ:**

B.9.1 დაკმაყოფილდა თუ არა თქვენი საჩივარი/სარჩევი?

1. დიახ სრულად
2. დიახ ნაწილობრივ
3. არა
4. ჯერ განხილვის სტადიაშია

**C. დასაქმების საკითხები:**

C.1 იყო თუ არა თქვენს სოფელში წინასწარ გავრცელებული ინფორმაცია მილსადენის მშენებლობაზე შესაძლო დასაქმების შესახებ? კერძოდ:

- C.1.1 ვაკანსიების შესახებ
- C.1.2 შესაძლებელი სამუშაოს მიმართ მოთხოვნების შესახებ

C.1.3 სამუშაოზე აყვანის პროცედურების შესახებ (როგორ ჩატარდა შერჩევა, რა საბუთებია საჭირო და ა.შ.)

C.1.4 სამუშაო პერსონალის შერჩევის დროისა და ადგილის შესახებ

C.1.5 სამუშაოს ხანგრძლივობის შესახებ

	C.1.1	C.1.2	C.1.3	C.1.4	C.1.5
დიახ	1	1	1	1	1
არა	2	2	2	2	2
არ ვიცი	3	3	3	3	3

C.2 ჰქონდათ თუ არა თანაბარი საშუალება ყველა პოტენციურ მსურველს მიეღო კონკურსში მონაწილეობა?

1. დიახ
2. არა – მსურველების პირადი მიზეზების გამო
3. არა - მსურველების დამოუკიდებელი მიზეზების გამო
4. არ ვიცი, არ გამაჩინია ინფორმაცია

C.3 თქვენი აზრით, გამჭვირვალე იყო თუ არა სამუშაოზე აყვანის პროცესი?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

C.4 აკვირდებოდა თუ არა ვაკანსიებზე მუშახელის შერჩევის პროცესს დაინტერესებული მხარის (მოსახლეობის) ნდობით აღჭურვილი პირი?

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი

C.5 სარგებლობდნენ(ბენ) თუ არა პრიორიტეტით სამუშაოზე აყვანისას, მილსადენთან ახლოს მცხოვრები პირები (იგულისხმება 2კმ ზონა)?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
4. არ ვიცი

C.6 დასაქმდით თუ არა პირადად თქვენ და/ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი მილსადენის მშენებლობის პროცესში?

1. დიახ, მე პირადად დავსაქმდი - **გააგრძელეთ ინტერვიუ**
2. არა - **გადადით ბლოკზე D.**
3. ოჯახის სხვა წევრი დასაქმდა - **მოითხოვეთ ინტერვიუს მასთან გავრძელება**

C.7 თქვენს მიერ შესრულებული სამუშაო არის (იყო):

1. კვალიფიციური
  2. ნახევრად კვალიფიციური
  3. არა კვალიფიციური
- C.8 გაქვთ თუ არა (გქონდათ თუ არა) გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი) სამშენებლო კომპანიასთან (ან დამსაქმებელ ნებისმიერ ქვეკონტრაქტორთან)?
1. დიახ
  2. არა
  3. გამიფორმეს დაგვიანებით (მუშაობის დაწყებიდან გარკვეული დროის მერე)
- C.9 გაგაცნეს თუ არა (მოგაწოდეს თუ არა) ზეპირად ან/და წერილობით წინასწარ სამუშაოს აღნერილობა?
1. დიახ
  2. არა
- C.10 გაიარეთ თუ არა შესაბამისი ტრეინინგები (სწავლება):
- C.10.1 შესასრულებელი სამუშაოს მოსამზადებელი (სამუშაოს აღნერილობა)
  - C.10.2 უსაფრთხოების
  - C.10.3 სპეციალურ დანადგარებთან მუშაობის
  - C.10.4 სხვა (*ჩაინერეთ*)
- 

	<b>C.10.1</b>	<b>C.10.2</b>	<b>C.10.3</b>	<b>C.10.4</b>
დიახ	1	1	1	1
არა	2	2	2	2
არ ეხებოდა	3	3	3	3

- C.11 მუშაობთ (მუშაობდით) თუ არა ნებაყოფლობით დამატებით სამუშაო დროს?
1. დიახ
  2. არა

*თუ პასუხია დიახ:*

- C.11.1 კვირაში რამდენ საათს მუშაობ(დი)თ დამატებით? \_\_\_\_\_  
(მიუთითეთ საათების საშუალო რაოდენობა)
- C.11.2 ხდება თუ არა დამატებითი დროის ანაზღაურება?
1. დიახ, კონტრაქტის თანახმად
  2. არა
  3. ნაწილობრივ
- C.12 დაცულია თუ არა კონტრაქტში თქვენი შრომითი უფლებები?
1. კი
  2. არა
  3. არ ვიცი

C.13 განიცდით (განიცდიდით) თუ არა სამუშაო ადგილზე რაიმე სახის დისკრიმინაციას? კერძოდ:

- C.13.1 ეთნიკურს
  - C.13.2 რელიგიურს
  - C.13.3 სექსუალურს
  - C.13.4 თანამდებობრივს (უფროსს და დაქვემდებარებულს შორის)
  - C.13.5 სხვა (**ჩანაწერით**)
- 

	C.13.1	C.13.2	C.13.3	C.13.4	C.13.5
დიახ	1	1	1	1	1
არა	2	2	2	2	2

თუ პასუხი რომელიმე კითხვაზე დადგებითია:

C.14 შეიტანეთ თუ არა საჩივარი კომპანიის რეგულაციების შესაბამისად?

- 1. დიახ
- 2. არა

თუ პასუხია დიახ:

C.14.1 მიგილიათ თუ არა თქვენი დისკრიმინაციის შესახებ საჩივარზე პასუხი?

- 1. დიახ
- 2. არა

თუ პასუხია დიახ:

C.14.2 დაკმაყოფილდით თუ არა პასუხით თქვენს საჩივარზე?

- 1. დიახ
- 2. არა
- 3. ნაწილობრივ

C.15 მუშაობისას რამდენად კმაყოფილი ხართ/იყავით:

- C.15.1 სამუშაო პირობებით
- C.15.2 კვების ხარისხით
- C.15.3 ანაზღაურებით
- C.15.4 აღჭურვილობით (ინსტრუმენტები, დანადგარები, სპეც. ტანსაცმელი და სხვა)
- C.15.5 სამედიცინო მომსახურეობით
- C.15.6 დაზღვევით

	C.15.1	C.15.2	C.15.3	C.15.4	C.15.5	C.15.6
სრულიად კმაყოფილი	+2	+2	+2	+2	+2	+2
კმაყოფილი	+1	+1	+1	+1	+1	+1
არც უკმ არც კმყ.	0	0	0	0	0	0
უკმაყოფილო	-1	-1	-1	-1	-1	-1
ძალიან უკმაყოფილო	-2	-2	-2	-2	-2	-2
სამედიცინო მომსახურეობა ა/დაზღვევა / კომპანიის კვება / აღჭურვილობა არ გამომიყენებია		99		99	99	99

C.16 მიგაჩნიათ თუ არა, რომ მიღებულის მშენებლობაზე მუშაობის შედეგად აიმაღლეთ კვალიფიკაცია?

1. დიას
2. არა/ იგივე დარჩა
3. მიჭირს პასუხის გაცემა

#### D. ინფრასტრუქტურა

D.1 გთხოვთ შეაფასოთ თქვენი სოფლის შიდა და მისასვლელი გზების მდგომარეობა პროექტის დაწყებამდე?

-2	-1	0	+1	+2
ძალიან ცუდი	ცუდი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი

თუ სოფელში არსებობს ხიდ(ები):

D.1.1 გთხოვთ შეაფასოთ თქვენი სოფლის ხიდ(ები)ს მდგომარეობა პროექტის დაწყებამდე?

-2	-1	0	+1	+2
ძალიან ცუდი	ცუდი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი

D.2 გამოყენებული იქნა (იყენებს) თუ არა მშენებელი კომპანიის მიერ სოფლის შიდა და მისასვლელი გზები / ხიდები მძიმე ტექნიკის მოძრაობისათვის?

1. დიახ
  2. არა
  3. ნაწილობრივ (*განმარტეთ*)
- 

D.3 კომპანიის მიერ გზების (ხიდების) გამოყენების შემდეგ მათი ამჟამინდელი მდგომარეობა:

D.3.1 გზების

D.3.2 ხიდების

	D.3.1	D.3.2
მცველობად გაუარესდა	1	1
გაუარესდა	2	2
იგივეა	3	3
გაუმჯობესდა	4	4
მცველობად გაუმჯობესდა	5	5

**თუ გაუარესდა:**

D.4 თქვენი აზრით რა არის ამის მიზეზ(ებ)ი? (მიუთითეთ რამდენიმე მიზეზი)

1. მძიმე ტექნიკის გახშირებული მოძრაობა
2. ტექნიკის სიმძიმე
4. აფეთქებები
5. სხვა-----

---

**თუ გაუარესდა:**

D.5 თქვენი ინფორმაციით, აპირებს თუ არა კომპანია და/ან სახელმწიფო უახლოეს მომავალში მათ შეკეთებას?

1. დიახ - კომპანია
2. დიახ - სახელმწიფო
3. დიახ - კომპანია და სახელმწიფო ერთობრივად
4. არა
5. არ ვიცი

**თუ გაუარესდა:**

D.6 მიმართეთ თუ არა (ან აპირებთ თუ არა მიმართოდ) თქვენი სოფლის მოსახლეობამ საჩივრით (ზეპირად ან წერილობით) კომპანიის და/ან სახელმწიფოს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

1. დიახ – მივმართეთ (ვაპირებთ მივმართოთ) კომპანიას
2. დიახ – მივმართეთ (ვაპირებთ მივმართოთ) სახელმწიფოს
3. არა
4. არ ვიცი

#### თუ გაუარესდა:

D.7 თქვენი აზრით, ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი გზების (ხიდების) აღდგენაზე?

1. BTC კომპანია და მისი მშენებელი კონტრაქტორი
2. ადგილობრივი მართველობა
3. სახელმწიფო
4. სოფლის მოსახლეობა
- x. სხვა (მიუთითოთ) \_\_\_\_\_

#### თუ გაუმჯობესდა:

D.8 თქვენი ინფორმაციით რა არის ამის მიზეზ(ებ)ი? (მიუთითოთ რამდენიმე მიზეზი)

1. BTC-იმ უკვე შეასრულა ვალდებულება და აღადგინა გზები/ხიდები
2. გზების/ხიდების აღდგენა მოხდა სახელმწიფოს დახმარებით
3. აღდგენა მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით
4. სოფელმა შეაგროვა და თვითონ აღადგინა
5. სხვა ----- (მიუთითოთ)

D.9 თქვენი ინფორმაციით, ჩაატარა თუ არა BTC კომპანიამ და/ან შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურამ (იგულისხმება საგზაო დეპარტამენტი) გზების (ხიდების) მდგომარეობის წინასწარი შესწავლა (მდგომარეობის შეფასება) თქვენს სოფელში?

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი

გმადლობთ დახმარებისათვის !!!

## **BTC Co. პასუხები ადამინის უფლებებისა და სოციალური საკითხების თაობაზე გამოთქმული რეკომენდაციების შესახებ**

### **BTC Co. პასუხი: ზოგადი მიმოხილვა**

BTC Co კმაყოფილებას გამოთქვამს სამუშაო ჯგუფთან წინამდებარე ანგარიშის განხილვის შესაძლებლობის გამო და წარმოადგენს თავის პასუხებს შემოთავაზებულ რეკომენდაციებზე. ჩვენი კომენტარები და პასუხები მომზადებულია სამუშაო ჯგუფთან წარმოებული განხილვების საფუძველზე. რიგ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და მიღწეული იქნა კონკრეტული შეთანხმებები.

ამასთან, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებზეც BTC Co-სა და სამუშაო ჯგუფს შორის შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, რისი მიზეზებიც შეძლებისდაგვარად მოცემულია ქვემოთ. სამაგიეროდ, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ზოგიერთ ასეთ საკითხებზე მომავალი აუდიტორები გაამახვილებენ ყურადღებას.

### **BTC Co. პასუხი: 3.1.2 ა) შრომითი ხელშეკრულებებისა და დასაქმებულთა ხელფასების დაანგარიშების დოკუმენტაციათა წარმოების დარღვევები**

BTC Co-ს არ გააჩნია ამ რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა, რამდენადაც მს-პ0-ჯე0-30 (SPJV)-ს კონტრაქტი ბერტეპთან რამდენიმე თვის წინ დასრულდა. ამასთან, BTC Co. ხელს უწყობს დასაქმების სრულყოფილი კონტრაქტების გამოყენებას პოპულარული განხორციელებაში მონაწილე ყველა მუშა-მოსამსახურებთან მიმართებით, როგორც ეს მოცემულია დასაქმების და ტრეინინგის მართვის გეგმაში. ამდენად, BTC Co გამოიყენებს ამ რეკომენდაციას ყველა მიმდინარე და მომავალი კონტრაქტორის თუ ქვეპირაქტორის მიმართებით.

### **BTC Co. პასუხი: 3.1.2 ბ) ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ზღვრული ნორმების დარღვევა**

BTC Co. უარს ამბობს დამატებითი სამუშაო დროის საკითხებში საქართველოს შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების გამოყენებაზე. ტერიტორიის მფლობელი (მასპინძელი) ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების 18.2 მუხლის თანახმად, BTC პროექტს უფლბა აქვს დაიქირავოს მუშები საქართველოს შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისგან განსხვავებული

მოთხოვნების საფუძველზე, იმ პირობით, რომ ამგვარი მოთხოვნები თანხმობაში იქნება მსგავსი ტიპის პროექტებისთვის განსაზღვრულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

## მუხლი 18.2 მთლიანობაში ამბობს:

ძირითადი საკეთო მიღებების პროექტის მონაწილეებს და ნებისმიერ კონტრაქტორს (მათ შორის საოპერაციო კომპანიას) ამით უფლება ეძლევათ შეარჩიონ და განსაზღვრონ მუშა-მოსამსახურითა რაოდენობა, რომელთა დაქირავებასაც აპირებენ ისინი პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს უკეთა მოქალაქე, რომელიც პროექტთან დაკავშირებით იქნება დაქირავებული, სამხასურში აყვანილ უნდა იქნას წერილობით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს მოსამსახურის სამუშაო სათვალის რაოდენობა, კუთხითი შრომის ანაზღაურება, დანამატები ხელფასზე და დასაქმების სხვა პირობები. ასეთი მუშა-მოსამსახურები შეიძლება განაწილებულ იქნას იმ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული მათ დასაქმებასთან დაკავშირებით. იმ პირობით, რომ პროექტის არცერთ მონაწილეს არ მოეთხოვება დასაქმების ისეთი პრაქტიკის ან ნორმების დაცვა, რომლებიც (ა) აღემატება ნავთობის საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში ტრადიციულად მოქმედ შრომით ნორმებს და პრაქტიკას, ან (ბ) ეწინააღმდეგვება უნარიანი და წარჩინებული მუშახელის დაწინაურების საერთო მიზანს, დასაქმების უკეთა პროგრამა და მიღებული პრაქტიკა, რომელიც კრცელდება ტერიტორიის ფარგლებში პროექტში მომუშავე სახელმწიფოს მოქალაქეებზე – მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორებიცაა სამუშაო საათების რაოდენობა, სამუშაოდან დათხოვნა, ანაზღაურება, დამატებითი შეღავათები და შრომის ჰიგიენისა და ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტები – არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე საქართველოს შრომითი კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც კრცელდება სახელმწიფოს მოქალაქეებზე.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს და საქართველოს შრომით კანონმდებლობასთან რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში მას ენიჭება უპირატესობა.

BTC Co. ადასტურებს, რომ მიღებების მშენებლობა ხორციელდება ნავთობის გადაზიდვის საერთაშორისო პროექტების სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ამგვარი პროექტებისთვის, რომლებისთვისაც დროის შეზღუდულობის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია, დამატებითი სამუშაო დროის გამოყენება ერთ-ერთ ამოსავალ მოთხოვნას წარმოადგენს.

BTC Co უზრუნველყოფს მს-პ0-ჯ00-გ0-ს დოკუმენტაციის და, მათ შორის ETMP-ს გადახედვას, რათა მათში თვალნათლივ იქნას ნაჩვენები, რომ სამუშაო საათების რაოდენობის მარეგულირებელი პირობები თანხმობაშია ნავთობის გადაზიდვის სფეროში შესადარი პროექტებისთვის დადგენილ სტანდარტებთან, თუმცა აღნიშნული რაოდენობები შეიძლება

აღემატებოდნენ საქართველოს შრომითი კოდექსით დადგენილ ლიმიტებს, როგორც ეს მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით არის ნებადართული.

**BTC Co. პასუხი:**  
**საინიციატივო რეკომენდაცია**

რეკომენდაცია მიღებულია. საქართველოს მთავრობისთვის გადახდილი თანხის სრული ოდენობა მოყვანილია/მოყვანილი იქნება ბ0-პ0 საქართველოს მდგრადობის მიმოხილვებში. ამ მიმოხილვებიდან პირველი, რომელიც მოიცავს 2004 წელს, გამოქვეყნდა 2005 წლის ოქტომბრის დასაწყისში და ხელმისაწვდომია როგორც ნაბეჭდი სახით, ასევე ბ0-პ0-ს გებ გეერდზე.

**BTC Co. პასუხი:**  
**3.2.2. ა) მოსახლეობის არასრულყოფილი ინფორმირებულობისა და საჩივრების განხილვის მექანიზმებთან მიმართებით გამოვლენილი დარღვევა**

ეს მიგნება არასწორია, რამდენადაც საქართველოში მიწის შეძენის სახელმძღვანელო (სმშ) გავრცელებული იქნა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთების ყველა მესაკუთრეს შორის მიწის შესყიდვის ოფიციალური პროცედურების დასრულებამდე. მართალია, სმშ-ს გამოშვებამდე მოხდა ნაკვეთების უმცრავლესობის აღწერა, მაგრამ პროექტის მიერ მიწის ფაქტობრივი შეძენა დაიწყო მხოლოდ ამ დოკუმენტის გავრცელების შემდეგ.

მიწის შესყიდვის დაწყებამდე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ყველა მესაკუთრესთან სოფლების მიხედვით ჩატარებული იქნა შეხვედრები იმ მიზნით, რათა მათთვის ახსნილი ყოფილიყო მიწის შესყიდვის პროცესი, შესასყიდი ფასისა და მოსავლის კომპენსაციის განსაზღვრის და გადახდის საფუძვლები და გასაჩივრების პირობები. კიდევ ერთ მიზანს შეადგენდა ამ მესაკუთრების კონსულტირება მიღებული ფულადი სახსრების სათანადოდ მართვის საკითხებში, სამშენებლო დერეფანში მოხვედრილი ფართობების დაკარგვის შედეგად, სასოფლო-სამეურნეო საგარეულების შემცირების უარყოფით გავლენისგან თავის დაცვის მიზნით.

BTC-ს მიერ შემუშავებული და (BTC Co -ს სახელით) მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის (მმუდა) აღმინისტრირებით განხორციელებული გასაჩივრების მექანიზმი კარგად ცნობილი და მარტივად გასაგებია. ამაზე მეტყველებს პიჯ-ს მიერ დღემდე მიღებული 2000-ზე მეტი ოფიციალური საჩივრი, რომელთანაგ 90%-ზე მეტი მოგვარებული იქნა.

რეკომენდაცია თემების ინფორმირების შესახებ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს BTC Co.-ს პერსონალთან დაკავშირება და საჩივრების დარეგისტრირება შეეხება პროექტის მიმდინარე საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს მიწის სარგებლობაში დაბრუნების მიზნით ჩვენს მიერ თემებთან ურთიერთობის გაღრმავების ძალისხმევის ნაწილს. BTC Co. ამ კუთხითაც თანამშრომლობს მმუშავებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის მესაკუთრეებს და მოსარგებლებს მიუკერძოებელი რჩევებით.

## **BTC Co. პასუხი:**

### **3.2.2 ბ) აუცილებელი გზის უფლებასთან დაკავშირებული დარღვევა**

BTC Co არ ეთანხმება აღნიშნულ მიგნებას. რეკომენდაცია უარყოფილია – მიზანშეწონილების გადამოწმება BTC Co-ს მიერ არ არის აუცილებელი. BTC Co-მ ამ კანონის მისადაგებადობის სრული შეფასება განახორციელა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად.

შემდგომში აუცილებელი გზის მოთხოვნის უფლების გამოყენების მიზანშეწონილება განხილული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართოს მიერ, რომელმაც დაადასტურა, რომ ამ უფლების გამოყენება შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, არ მომხდარა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევა.

აუცილებელი გზის მოთხოვნის უფლება არ არის აღწერილი განსახლების სამოქმედო გეგმასა (ბსბ) და საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენისა და სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოში, რამდენადაც მისი იდენტიფიცირება მოხდა აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ. აღნიშნული კანონის გამოყენებას უპირატესობა ენიჭება საზოგადოებრივი საჭიროებისთვის კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის შესახებ კანონთან შედარებით, რამდენადაც იგი მესაკუთრეს მიწის ნაკვეთს საკუთრებაში უტოვებს და ასევე ხელს უწყობს გადაწყვეტილების შედარებით ნაკლებ დროში მიღებას, რაც თავის მხრივ ამცირებს მონაწილე მხარეების გაურკვევლობის ხარისხს და იცავს მიწის მესაკუთრის უფლებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, აუცილებელი გზის უფლების მინიჭების შემდეგ, შესაბამისი კომპენსაცია უნდა იქნას გადახდილი. იმ შემთხვევაში, როცა კომპენსაციის შესახებ შეთანხმება ვერ მიიღწევა მხარეებს შორის, ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს გზით. ამ პროცესით არანაირად არ ირდვევა ეკროპული ადამიანთა უფლებების კონვენციის პირველი პროტოკოლის პირველი მუხლი და თუ ჩო. უარყოფს ყველა მტკიცებულებას, რომ ადგილი პქონდა უხეშ დარღვევას.

აუცილებელი გზის უფლების გამოყენების ყველა შემთხვევაში, BTC Co-მ ნათლად განუმარტა მესაკუთრეებს, რომ მათი მიწის შესყიდვის მიზნით

პროექტის მიერ თავდაპირველად გაკეთებული შეთავაზება ძალაში რჩება. პროექტის მიერ დადგენილი მიწის შესასყიდი ფასი აღემატება ადგილობრივ ბაზარზე მოქმედ შესაბამის განაკვეთებს. მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობამ, რომელთა მიმართ პროექტს დაუკანონდა აუცილებელი გზის უფლება, შემდგომში თანხმობა განაცხადა პროექტის საწყის შეთავაზებაზე.

### **BTC Co პასუხი:**

#### **3.2.2. გ) მიწის ინგენტარიზაციის საკითხთან დაკავშირებული დარღვევა**

რეკომენდაცია ნაწილობრივ მიღებულია – BTC Co.-მ არ მიაწოდა მესაკუთრებს მათი ნაკვეთების აღწერის ოქმების ხელმოწერილი ასლები აღწერის მიმდინარეობის პროცესში. ეს არ შეესაბამებოდა საუკეთესო პრაქტიკას და განიხილება როგორც “მიღებული გაკვეთილი”. საქართველოში მიწის შეძენის სახელმძღვანელოს გავრცელება ნაკვეთების აღწერის დასრულების შემდეგ, ალბათ ასევე არ წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს და აღიქმება კიდევ ერთი “მიღებული გაკვეთილის” სახით, თუმცა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთების მესაკუთრებს ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ სმშს-ს შეთავაზებაზე თანხმობის განცხადებასა და ოფიციალური ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების იურიდიული გაფორმების დასრულებამდე.

შემდგომში ყველა მესაკუთრეს, რომელმაც მოითხოვა აღწერის ჩანაწერები, მიეცა შესაბამისი ოქმის ასლი.

აღწერის ოქმის ასლების მიწოდება ხდება მოთხოვნის ან საჭიროების შემთხვევაში, როდესაც წარმოიშვება რაიმე სადაც საკითხი.

### **BTC Co. პასუხი:**

#### **3.2.2 დ) 500 მეტრიანი დაცვის ზონასთან დაკავშირებული დარღვევა**

ეს მიგნება უარყოფილია – მიწის ნაკვეთების კატეგორიების განსაზღვრა ან გადამოწმება არ არის დამოკიდებული BTC Co.-ზე. მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, ეს სახელმწიფო ორგანოების მოვალეობას შეადგენს. სახელმწიფო სარეგისტრაციო მონაცემებში ნათლად არის მოცემული, რომ რუსთავის ნაკვეთები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებია, ხოლო ახალი სამგორის – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა. ამდენად, BTC Co-მ სრულებით სწორად შეისყიდა ახალი სამგორის ნაკვეთები სარწყავი მიწებისთვის განსაზღვრულ ფასში, რომლებიც მოცემულია სმშს-სა და ბსბ-ში.

რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია – სმშს და ბსბ ხელმისაწვდომი არიან ფართო საზოგადოებისთვის და მათში აბსოლუტურად ნათლად არის მოცემული მე-2 ზონის გარეთ და 500 მეტრი სიგანის დერუფანში

მოქმედი შეზღუდვები, რომელთა თანახმადაც, პროექტს სურს, რომ ამ ზონაში დიდ-მასშტაბიანი სამშენებლო პროექტების განხორციელების საკითხი, როგორებიცაა სკოლები, საავადმყოფოები და ა.შ., გადაწყვეტილი იქნას მასთან კონსულტაციით. ცხადია, რომ კერძო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შეზღუდული არ არის და შესაბამისად, არც კომპენსაციის შესახებ ინფორმაციაა კორექტული.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ რომ მიწის კატეგორიის განსაზღვრა არ წარმოადგენს BTC -ს მოვალეობას.

შეთანხმება 500მ სიგანის ზონის შესახებ ვერ შედგა, რადგან მუშა ჯგუფი მიიჩნევს, რომ BTC Co -ს შეუძლია უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს ცალკეული შეზღუდვები და განსაზღვროს შესაბამისი კომპენსაციები. თავის მხრივ, BTC Co დარწმუნებულია, რომ შეზღუდვები მკაფიოდ იქნა ჩამოყალიბებული და შემდგომი განხილვა წარმოადგენს სათანადო კონკრეტული შემთხვევების თაობაზე კონსულტაციების საგანს, რომელთა შედეგადაც შეიძლება მოხდეს საკითხის გადაწყვეტა კომპენსაციის გადახდის საჭიროების გარეშე. ამდენად, მისი ამ ეტაპზე მეტი სიღრმით განხილვა შეუძლებელია.

## **BTC Co. პასუხი:**

### **3.2.2 ე) „ნარჩენი“ და „დარჩენილი“ მიწის საკითხთან დაკავშირებული დარღვევა**

მიგნება ნაწილობრივ მიღებულია, რამდენადაც იგი მართლაც როულ საკითხს შეეხება. საქართველოში მიწის შეძენის სახელმძღვანელოსა და განსახლების სამოქმედო გეგმაში მოცემული “ობოლი” მიწის განმარტება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად სრულია თუ გავითვალისწინებო სათანადო შევასების სუბიექტურ ხასიათს. ამ დოკუმენტებში მოცემული განმარტების თანახმად, დარჩენილი ფართობის “ობოლ” მიწად ან ეკონომიურად გამოუყენებად ფართობად კვალიფიცირება დამოკდებული შეიძლება იყოს როგორც ნაკვეთის ზომებზე, ასევე მის ფორმასა და მდებარეობაზე.

ამავე დოკუმენტებში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ გადაწყვეტილება თითოეული ნაკვეთისთვის “ობოლი მიწის” სტატუსის მინიჭების შესახებ განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური მონაცემების საფუძველზე.

BTC Co-მ “ობოლი” მიწის განმარტებისას გამოავლინა უაღრესად დიდი ხელგაშლილობა, რის შედეგადაც სამშენებლო დერეფანში მოქცეული ნაკვეთების მესაკუთრეთა უმრავლესობამ შესძლო “ობოლი” მიწისთვის განსაზღვრული კომპენსაციის მიღება.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ამ საკითხს დიდი სირთულე ახასიათებს და შეუძლებელია ყოვლისმომცველი განმარტებითი კრიტერიუმების

შემუშავება, რამდენადაც საკითხი უნდა გადაიჭრას ინდივიდუალურად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

### **BTC Co. პასუხი:**

**3.2.2. გ) BTC მიღსადენის სამშენებლო სამუშაოების გამო მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნეკვეთების დაზიანების პრობლემასთან დაკავშირებული დარღვევა**

BTC Co არ ეთანხმება აღნიშნულ მიგნებას, რამდენადაც პროექტმა უკვე უპასუხა იმ საჩივრებზე, რომლებიც მოწოდებული იქნა ვალესა და ახალი სამგორიდან და ამჟამად იკვლევს ნაკვეთების დატბორვასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულ იქნა ვალესა და ახალ სამგორში – როგორც BTC Co-მ, ასევე კონტრაქტორმა დეტალურად განიხილეს აღნიშნული საჩივრების უმრავლესობა და გამოიმუშავეს კომბინირებული შეთავაზების ვარიანტი, რომელიც შესაბამისად მოიცავს კომპენსაციის გადახდას და/ან სარწყავი არხის აღდგენას. რიგ ადგილებში, კონტრაქტორმა დროებით აღადგინა სარწყავი არხები, მაგრამ მესაკუთრეებმა უარი განაცხადეს ამ არხების გამოყენებაზე, რამდენადაც არჩიეს კომპენსაციის მიღება.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ BTC Co-მ და მს-პ0-ჯე0-30-მ უნდა განაგრძონ ყველა საჩივრის დროულად რეგისტრირება, გამოკვლევა და მათზე სათანადო პასუხის გაცემა.

### **BTC Co. პასუხი:**

**3.3.2. ა) შეუსაბამობა გზების მდგომარეობასთან დაკავშირებით**

რეკომენდაცია მიღებული იქნა შემდეგი კვალიფიკაციით (შენიშვნით). BTC Co და მს-პ0-ჯე0-30 აწარმოებენ პროექტის მიერ გამოყენებული გზების ერთობლივ აღწერას და ადარებენ შედეგებს თავდაპირველად არსებულ პირობებთან. რაიმე განსაზღვრული ვადები, რომლებშიც BTC Co ვალდებულია შეასრულოს შესაბამისი გზების შეკეთება დადგენილი არ არის.

BTC Co -მ უკვე ნათლად გამოვლინა თავისი სურვილი შეაკეთოს დაზიანებული გზები, რის დადასტურებასაც წარმოადგენს რიგ გზებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. BTC Co თანახმაა, რომ შესაბამის გზებზე სარემონტო სამუშაოები უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ მიღსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ. თუმცა, ამინდის პირობებისა და მშენებლობის პრიორიტეტებიდან გამომდინარე ეს შეიძლება 2005 წლის ბოლომდე ვერ მოესწოროს.

ამჟამად BTC Co -ს მიერ დგინდება მუდმივ მიწისზედა ობიექტებზე მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოების მოცულობა, რომლებიც სავარაუდო 2006 წელს შესრულდება.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ გარკვეული გზების გარემონტება შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს 2005 წლის განმავლობაში, მშენებლობის პრიორიტეტებისა და ამინდის პირობების გამო და რომ რიგი გზების სარემონტო სამუშაოები შესრულების სტადიაშია ან უკვე დასრულებულია.

### **BTC Co. პასუხი:**

#### **3.3.2. ბ) ხიდების მდგომარეობასთან დაკავშირებული დარღვევა**

რეკომენდაცია ნაწილობრივ მიღებულია – შესრულდება სათანადო აღწერა, რათა მოხდეს მიმდინარე და თავდაპირველი მდგომარეობების შედარება. პროექტის მიზეზით გამოწვეული ყველა დაზიანება შეკეთებული იქნება BTC-ს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

შერჩეული ხიდების აღწერის მიზნით, რომლებიც მდებარეობენ პროექტის მანქანების გასხვისების ზოლთან მისასვლელ გზებზე, BTC Co-მ დაიქირავა ხიდების მშენებელი ინჟინრები. აღწერის შედეგების მიხედვით დადგენილი იქნა კონკრეტული მარშრუტების გამოყენების და პროექტის მიერ რომელიმე კონკრეტული ხიდისთვის შემოვლის მიზანშეწონილება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ხიდის ზღვრული დატვირთვის მაჩვენებელი არ იძლეოდა მძიმე ტვირთების გატარების საშუალებას. სტრატეგიულ ხიდებთან დადგმულია დასაშვები ტვირთის წონის აღმნიშვნელი ნიშნები. ასევე, კონტრაქტორის ტრანსპორტირების მეოდეზი გათვალისწინებულია ხიდების დატვირთვის ზღვრული მაჩვენებლები.

მოძრაობის უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესების მიზნით, BTC Co-მ და მს-პ0-ჯ00-30-მ უკვე განახორციელეს ხიდების შეკეთება ახალციხისა და ბაკურიანის რეგიონებში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში მძიმე ტექნიკის გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე ყოველთვის ხდებოდა გასხვისების ზოლის გასწვრივ, სპეციალური მოძრავი პლატფორმების გამოყენებით. ყველა ასეთი მოწყობილობა, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა 2002 წელს, გადაზიდული იქნა რკინიგზით ფოთიდან თეთრიწყარომდე, ხოლო მათი დიდი ნაწილი შემდგომში ასევე რკინიგზით იქნა გადატანილი წალკაში.

არამიზანშეწონილია პროექტისთვის ცალსახა პასუხისმგებლობის დაკისრება ხიდების დაზიანებისთვის, თუ გავითვალისწინებოთ თურქეთიდან და სხვა მხარიდან შემოსული საავტომობილო ტვირთების ტრანზიტს, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება საქართველოს გავლით აზერბაიჯანისა და რუსეთის მიმართულებით.

მუშა ჯგუფი თანახმაა ასეთ პასუხზე, მაგრამ იმავდროულად მოუწოდებს BTC Co -ს განაგრძოს და დროულად აწარმოოს ხიდების სარემონტო სამუშაოები (შესაბამის ადგილებში).

### **BTC Co. პასუხი:**

#### **3.3.2. გ) მოსახლეობის ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმირებულობის საკითხებთან დაკავშირებული დარღვევა**

BTC Co. განუწყვეტლის ცდილობს გააუმჯობესოს ინფორმაციის მიწოდების მექანიზმები და, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, იყენებს მრავალ სხვადასხვა საშუალებას, რომელთა შორისაა შეხვედრები მოსახლეობასთან და ცალკეულ პირებთან, გაზეთები, ტელევიზია, რადიო, საინფორმაციო დაფები და ა.შ. BTC Co. მიესალმება წინადადებებს ინფორმაციის გავრცელების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. შესაბამის სოფლებში BTC Co. დროულად მიაწვდის ინფორმაციას გზების და ხიდების შეკეთების ან რეაბილიტაციის სამუშაოების ვადების შესახებ.

სადაც ეს შესაძლებელია, BTC Co. შეეცდება ააგოს პოზიტიური ურთიერთობა ადგილობრივ თემებთან, თუმცა მას არ შეიძლება დაეკისროს ცალმხრივი ვალდებულება უარყოფითი დამოკიდებულების შემცირებაზე.

### **BTC Co. პასუხი:**

#### **3.3.2. დ) საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემებთან დაკავშირებული დარღვევა**

BTC Co. არ ეთანხმება აღნიშნულ მიგნებას – მს-პ0-ჯე0-პ0-მ აღადგინა ყველა მშენებლობის პროცესში დაზიანებული ყველა სარწყავი არხი და წყალსადენი. სარწყავი არხების დაზიანების გამო მოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებით კომპანიაციის გაცემის მოთხოვნები უარყოფილი იქნა იმის საფუძველზე, რომ მშენებლობის დროს არ ჰქონია ადგილი არცერთი მოქმედი სარწყავი სისტემის მუშაოების შეფერხებას.

ამ სახის სარჩელების განხილვა არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, რამდენადაც ეს სარჩელები განიხილება საქართველოს სასამართლოების მიერ.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ პროექტმა დროული სახით უნდა განაგრძოს საჩივრების რეგისტრირება, გამოკვლევა და მათზე რეაგირება.

**BTC Co. პასუხი:****3.3.2. ე) - სასმელი წყლის სისტემის დაზიანება სოფელ ციხისჯვარში**

ეს საკითხი დღეისთვის გადაწყვეტილია – BTC Co-მ მიიღო საჩივარი ციხისჯვარიდან 2004 წლის ნოემბრის ბოლოს. დაწყებული ამ დღიდან, 2005 წლის 8 იანვრამდე პერიოდი მოხმარდა დაზიანებული მიღის შემკეთებელი კონტრაქტორის შერჩევას და სათანადო კონტრაქტის გაფორმებას. აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით, 2005 წლის 8 იანვარს, შერჩეული კონტრაქტორი შეხვდა სოფლის იმუამინდელ გამგებელს და სოფლის რამდენიმე მაცხოვრებელს. კონტრაქტორი, BTC-ს თემებთან ურთიერთობის მუშაკი და გამგებელი შეთანხმდნენ სარემონტო სამუშაოების დაწყების 2 თვით გადადების შესახებ, რადგან სამუშაოების უფრო ადრე დაწყების შემთხვევაში არსებობდა წყალსადენის სისტემის შემდგომი დაზიანების რისკი სიცივის და მიღებში წყლის გაყინვის საფრთხის გამო., 2005 წლის 13 იანვარს BTC Co-მ გააგზავნა წერილი, რომელშიც დადასტურებული იყო სოფლის მცხოვრებთა თხოვნა სარემონტო სამუშაოების გაზაფხულამდე გადადების შესახებ, რათა საფრთხის წინაშე არ დამდგარიყო წყალმომარაგების არსებული სისტემა. 22-23 მაისს BTC-ს კონტრაქტორმა განახორციელა სარემონტო სამუშაოები და შეაკეთა მიღის დაზიანებული ნაწილი, რის შედეგაც იმდროინდელმა გამგებელმა და კონტრაქტორმა შეადგინეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. დამატებით, BTC-ს თემებთან ურთიერთობის მუშაკებმა გააცნეს თემის სხვა წევრებს პროექტის მიერ გამგებლებისთვის გაგზავნილი წერილები.

სოფლის წყალმომარაგების სისტემის სხვა დარღვევები გადაუდებლად იქნა გამოსწორებული. პროექტი ინარჩუნებს მუდმივ კონტაქტს ადგილობრივ მოსახლეობასთან და მმართველობასთან. სარემონტო სამუშაოების ყოველი გაჭიანურების შემთხვევაში, თემის სასმელი წყლით უზრუნველყოფა ხდებოდა BTC პროექტის მიერ საჯაროდ აღებული გალდებულებების დაცვით.

**BTC Co. პასუხი:****ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები – დასაქმება და ადამიანის უფლებები**

მთავრობისთვის გადახდილი თანხის სრული ოდენობა ასახულია “ბი-პი საქართველოს” მდგრადობის მიმოხილვის ანგარიშებში. მათგან პირველი, რომელიც მოიცავს 2004 წელს, მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში გამოიცა ნაბეჭდი სახით და, ასევე, გამოტანილია პროექტის ვებ-გვერდზე. ეკონომიკის განვითარებაში არაპირდაპირ შეტანილი წყლილის რაოდენობრივი გაანგარიშება ძალზედ რთული ამოცანაა, თუმცა ბი-პი გამოაქვეყნებს ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი სრული თანხის მონაცემებს.

BTC Co. არ ეთანხმება რეკომენდაციას დღეში ორი ცვლის შემოღების შესახებ. BTC Co-ს აღებული აქვს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების

დაცვის ვალდებულება და გააჩნია ყოვლისმომცველი მოსამზადებელი პროგრამა და სტანდარტები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებში. მუშახელის რაოდენობის გაორმაგება გამოიწვევს ამ ასპექტებში ტრეინინგების მოცულობის აღექვაზურად გაზრდის აუცილებლობას, ისევე როგორც მნიშვნელოვნად გაზრდის უსაფრთხოების რისკებს და განაპირობებს დამატებით ზემოქმედებას სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე. მაგალითისთვის, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა, BTC Co. კრძალავს ლამის საათებში საქმიანობას, რადგან ამ პერიოდში მგზავრობა ან მუშაობა დაკავშირებულია უსაფრთხოების რისკების გაზრდასთან. ასევე, დამით მუშაობა სავარაუდოდ გამოიწვევს მიმდებარე სოფლების უკმაყოფილების ზრდასაც. დამატებით, ცვლების გაორმაგება განაპირობებს სამუშაო ბანაკების გაფართოების აუცილებლობას და მუშახელის გადაზიდვისთვის ტრანსპორტის მოძრაობის მნიშვნელოვნად გაზრდას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაზრდის გარემოზე ზემოქმედების ხარისხს.

### **BTC Co. პასუხი:**

#### **ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები – მიწის საკითხები**

BTC Co არ ეთანხმება აღმოჩენებს ზემოაღნიშნული შეუსატყვისობების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდება ყველა მხარეს, რომელზეც უშუალო ზემოქმედებას ახდენს მიწის სარგებლობაში დაბრუნება. მიწის საკითხების ჯგუფის და თემებთან ურთიერთობის მუშაკები ხელმისაწვდომი იქნებიან შესაბამისი მესაკუთრებისთვის, პროცესის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. ამ საქმიანობაში კვლავ იქნება ჩართული მმუდა, რომელიც შეასრულებს მიწის მესაკუთრეთა დამოუკიდებელი მრჩეველის და საინფორმაციო წყაროს ფუნქციას.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ინფორმაციის დროულად მიწოდება მნიშვნელოვანია. BTC Co-მ გააცნო სამუშაო ჯგუფის წევრებს საინფორმაციო ფურცელი მიწათსარგებლობის შეზღუდვების თაობაზე, რომელიც მიეწოდება მიღწეულის პირველ და მეორე ზონებში მოქცეული ნაკვეთების ყველა მესაკუთრეს.

### **BTC Co. პასუხი:**

#### **ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები - ინფრასტრუქტურა**

რეკომენდაცია უკვე ნაწილობრივ გათვალისწინებულია – მს-პ0-ჯ00-30-ს გააჩნია ვიდეო მასალა (კომპაქტ-დისკზე), რომელიც მომზადებულია წინასამშენებლო აგეგმვის დროს. BTC Co და მს-პ0-ჯ00-30 უკვე აწარმოებენ ამ ვიდეომასალის გადამოწმებას და, ასევე, ყველა გზის შემოვლას სათანადო შედარებების გაკეთების მიზნით. მრავალ შემთხვევაში, გზები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია მათ საწყის მდგომარეობასთან შედარებით.

BTC Co. ანახორციელებს პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მოხდება გზების სულ ცოტა თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენა, იმ შემთხვევებში, როდესაც მათი ხარისხის გაუარებელი უშუალოდ არის გამოწვეული პროექტის მიზნებისთვის მძიმე მანქანების მოძრაობით. ამასთან, მართალია BTC Co. ყველა შესაძლებელ დონეს ხმარობს მოსახლეობის მოლოდინის მართვის მიზნით, იგი ვერ იქნება ასუხისმგებელი ამგვარი მოლოდინების დაკმაყოფილებაზე.

BTC Co. იწყებს მუდმივ მიწისზედა ნაგებობებზე მისასვლელი გზების რეაბილიტაციისა და ტექნიკური მომსახურების პროგრამას, რომელიც 40 წლის მანძილზე სარგებლობას მოუტანს მიმდებარე სოფლებს.

საონადო დროს, BTC Co. შესაბამის სოფლებში გაავრცელებს ინფორმაციას გზების რეაბილიტაციის შესახებ.

BTC Co. აღიარებს თითოეული საჩივრის გამოკვლევის და მათზე საონადო რეაგირების მნიშვნელობას. პროექტი მიზნად ისახავს ზემოქმედებების შერბილებას და საჭიროების შემთხვევაში, დაზიანებული ობიექტების შეცვლას/გარემონტებას.